

ახალი დაუშვილი

ხვლიკი კოსტას ამბები



აახი დუზვილი

ხვლიკი კოსტას ამბები



მერიდინი
2021

რომ არა საბავშვო ჟურნალი „დილა“, ალბათ ეს წიგნი არ დაინერებოდა.

2019 წელს ხვლიკ კოსტაზე შეთხზული პატარა ამბავი „დილაში“ გამოქვეყნდა. მის გაგრძელებაზე არც კი მიფიქრია, თუმცა მწვანე ხვლიკმა მოსვენება დამიკარგა და „დილაში“ კიდევ 15 ამბავი მომაცოლა.

2021 წელს კოსტაზე დაწერილი ახალი მოთხრობები ლიტერატურულ ჟურნალ „განთიადის“ ფურცლებზეც დაიბეჭდა.

ვემადლიერები ყველა იმ ცხოველსა თუ ფრინველს, რომელთაც წიგნის პერსონაჟები შთამაგონეს.

ავტორი

აკაკი დაუშვილი
ხვლიკი კოსტას ამბები

რედაქტორი
ელისაბედ მეტრეველი

მხატვარი
ლელა ცინაძე

დამკაბადონებელი
თამარ სტეფნაძე

© ა. დაუშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021

ISBN 978-9941-34-062-8



ხვლიჩი ჯოსტა და შოკოლადის ჯანფები

მზე ისე აცხუნებდა, რომ ხვლიკმა კოსტამ გადანყვიტა, თავი სოროსთვის შეეფარებინა. უცებ მისი ყურადღება ბალახზე დავარდნილმა ვერცხლისფერმა ქალაქმა მიიპყრო. ხვლიკი ქალაქს მიუახლოვდა. მთებიდან მონაბერ ნიავზე ვერცხლისფერი ქალაქი შეირხა, მზის სხივი აირეკლა, აბრჭყვიალდა და ხვლიკს თვალი მოსჭრა. დამფრთხალმა კოსტამ უკან მოუხედავად მოკურცხლა, ნაძვზე აცოცდა და ფულუროს მოჰკრა თვალი. ცნობისმოყვარე ხვლიკმა ფულუროში შეიხედა და რკოები, თხილები, კაკლები, გამხმარი სოკოები, მაყვალი და სხვადასხვა მცენარის კვირტები დალანდა.

– აქ რას აკეთებ?! – შეჰკვივლა ვილაცამ.

კოსტა უმალ შებრუნდა და კუდბუთქუნა, ნითური ციყვი დაინახა.

– ჩემს სახლში რა გინდა?! – ბრაზობდა ციყვი.

– მე... უბრალოდ... ის ვერცხლისფერი რალაც გაბრწყინდა და შემეშინდა.

– ეგ შოკოლადის კანფეტის ქალაქია, – გაეცინა ციყვს. – რა გქვია?

– კოსტა.

– მე თეკოს მეძახიან. სად ცხოვრობ?

კოსტას თავისი ბნელი და ნესტიანი სორო წარმოუდგა თავლწინ და მხოლოდ მხრები აჩჩეჩა.

– აქვე ცარიელი ფულუროა, თუ გინდა, იქ იცხოვრე, – ციყვმა თათი მოშორებით მდგარი ხისკენ გაიშვირა.

კოსტამ ტოტზე გაიბრინა, მეორე ნაძვის ტოტზე ისკუპა, მეორიდან მესამეზე და პირდაპირ ფულუროში დურთა თავი. ცოტა ხნის შემდეგ კოსტა ფულუროდან გამოძვრა და თეკოსთან დაბრუნდა.

– ძალიან მომეწონა. აქ ვიცხოვრებ, სიმაღლიდან ყურება მაგარია, – თქვა კოსტამ და მოუთმენლად ჩაეკითხა: – შოკოლადის კანფეტი რა არის?

– კანფეტები ბევრნაირია: მსხლის, პიტნის, ატმის, ვაშლის... აი, შოკოლადს კი ზღაპრული გემო აქვს. ერთხელ თუ გასინჯავ, მის გემოს ვერასოდეს დაივიწყებ. აგერ, ტყის პირას, ფერდობის ძირში, გოგონა რომ ზის, ნია ჰქვია. მგონი, ვერცხლისფერი ქალაქი მას დაუფარდა, შოკოლადს სწორედ ასეთ ქალაქში ახვევენ.

კოსტა და თეკო ხიდან ჩამოძვრნენ და გოგონასკენ გაემართნენ. ნია ბალახზე მოკალათებულიყო და წიგნს კითხულობდა. მოულოდნელად ბუჩქიდან ზღარბი ბაბაღე გამოძვრა და მიმავლებს წინ გადაუდგა.

– ყველა ადამიანის ნდობა არ შეიძლება, – დამრიგებლური ტონით თქვა ბაბალემ.

– გოგონა არაფერს დაგვიშავებს, – თეკომ ზღარბი დაამშვიდა.

– მაინც ფრთხილად იყავით, – ბაბალემ გზა განაგრძო.

ციყვისა და მწვანე ხვლიკის დანახვაზე გოგონას გაელიმა. ბაბალეს გაფრთხილება კოსტას მოსვენებას უკარგავდა და ფეხს ითრევდა. ნიამ რალაც ყავისფერი, თხელი და ოთხკუთხედი გამოუწოდა.

– ეგ შოკოლადია, – თქვა თეკომ.

კოსტას შოკოლადის სურნელმა თავბრუ დაახვია, ნიასთან თამამად მივიდა, შოკოლადის ნატეხი გამოართვა, პირში ჩაიღო და ნეტარებისგან ლამის სული შეუგუბდა. ხვლიკს შოკოლადი ძალიან მოეწონა და ის-ის იყო, სიამოვნებისგან გაშეშებული ქუთუთოები უნდა აეხამხამებინა, რომ უცებ მინის ქილაში ამოჰყო თავი. ხვლიკმა ნიას შიშისგან გაფართოებული თვალები მიაპყრო.

გოგონა ფეხზე წამოიჭრა და ხელთ მეზობლის ბიჭი შერჩა. თურმე ბიჭი





უკნიდან მიჰპარვიათ და ასე აღმოჩნდა კოსტა ქილაში.

– ახლავე გაუშვი! – უყვირა ნიამ ბიჭს.

– რატომ უნდა გავუშვა? სახლში მეყოლება, ძველ აკვარიუმში.

ზღარბი ბაბაღე ეკლიან ბურთად შეიკრა, ფერდობზე დაგორდა, მინის ქილას დაეჯახა და გადააყირავა. კოსტამ დრო იხელთა და ქილიდან გასხლტა. ნაძვზე ამძვრალმა თეკომ კი ტოტიდან გირჩი მონყვიტა და ბიჭს შიგ თავში სდრუზა. ნირნამხდარი ბიჭი ნიას ხელების ქნევით გასცილდა.

თეკო, კოსტა და ბაბაღე გოგონას აქეთ-იქიდან შემუსხდნენ და დიდხანს მიირთმევდნენ შოკოლადის ნატეხებსა და თეკოს მორთმეულ თხილსა და მაცვალს, თან ნიას წიგნში ფერად ნახატებს ათვალთქვებდნენ. საოცარი წიგნი იყო, შიგ ციყვი, ზღარბი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწვანე ხვლიკიც კი ეხატა.

მზე საცაა მთის უკან ჩაეშვებოდა. სიფრიფანა ღრუბლები მოვარდისფროდ შეიფერა. ბინდებოდა. ზაფხულის კიდეე ერთი მშვენიერი დღე ინურებოდა. კოსტა თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა, რადგან ერთგული მეგობრები შეიძინა – ციყვი თეკო, ზღარბი ბაბაღე და კეთილი გოგონა ნია.

ხვლიჩი კოსტა და ზემოდგომა

ხვლიჩი კოსტა კაკუნის ხმაზე ფულუროდან გამოხტა და წითელთავა ჩიტი დაინახა, რომელიც მატლების ამოსაყვანად გრძელ ნისკარტს ხეს გამეტებით ურტყამდა.

– შენ ვინ ხარ? – დაინტერესდა კოსტა.

– კოდალა კაკუ, – ღიმილით უპასუხა კოდალამ, – პირი უნდა ჩავიტკბარუნო, თორემ სადაცაა შემოდგომა მოვა, მწერები დაიზამთრებენ, მე კი გამხმარი კენკრის ჭამა მომიწევს.

– შემოდგომა? ეგ ვინაა?

– შემოდგომა დღეებს ამოკლებს და მზეს მცხუნვარებას აცლის, ჩიტებს აფრთხობს და უცხო ქვეყნებისკენ მიერეკება, ყვავილებს აჭკნობს, მწვანე ხასხასა ბალახს ჩაღისფრად აქცევს, ხეებსა და ბუჩქებს კი ურცხვად ძარცვავს და ტოტებზე აქა-იქ შემხმარ ფოთლებსლა თუ მოჰკრავ თვალს, – სწრაფად თქვა კოდალა კაკუმ და ნეკერჩხალზე გადაფრინდა.

თავზარდაცემულმა კოსტამ ტოტებზე გადაირბინა, ციყვი თეკოს ფულუროსთან შეჩერდა და შეჰყვირა:

– თეკო! თეკო!

– რა მოხდა?! – ზედა ტოტიდან ჩამოსძახა თეკომ.

– შემოდგომა მოდის!

– ახლა სალაპარაკოდ არ მცალია, თხილი უნდა მოვკრიფო, – ციყვმა ნაძვიდან ისკუპა.

კოსტა ფულუროში იწვა და შემოდგომის მოსვლას შიშით ელოდა. ტყის ბინადრები ხან იქით მირბოდნენ, ხან აქეთ მოფრინავდნენ, მოკლედ დიდი აურზაური იდგა. ხვლიკმა ტაატიტ მიმავალ კუ კუკურის მოჰკრა თვალი, ნაძვიდან ჩამოძვრა, მასთან მიირბინა და ჰკითხა:

– შემოდგომა როდის მოვა?

– უკვე მოსულია.

კოსტამ აღელვებით მიმოიხედა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. იმის კითხვა კი, შემოდგომას ვერ ვხედავ, მითხარი რომელიაო, ხვლიკს შერცხვა, კუ კუკურის დაემშვიდობა, ნაძვზე აირბინა და ფულუროში შეიყუჟა.

ერთ ქარიან დღეს კოსტას საზარელი ღრიალი ჩაესმა. ხვლიკმა ფულუროდან თავი ელდანაცემივით გამოყო და უკანა ფეხებზე შემდგარი ბანჯგვლიანი არსება დაინახა, რომლის გამოჩენისთანავე ქარმა ძლიერად დაბერა და წი-

ფლის, რცხილას, ნეკერჩხლისა და ცაცხვის ხეებზე შერჩენილი ფოთლები ცაში ერთიანად ააფრიალა.

– ეს ნამდვილად შემოდგომაა! – კოსტას შიშისგან სუნთქვა შეეკრა. გონს მოსულმა კი ტოტებზე გადაირბინა და თეკოს ფულუროში უკითხავად შევარდა.

– ვინმე მოგდევს?! – ჰკითხა ციყვმა.

– შემოდგომა! – კოსტამ შემოდგომისკენ თითი გაიშვირა.

– შემოდგომა? – თეკომ კოსტას თითს თვალი გააყოლა და გაეცინა, – ეგ შემოდგომა კი არა, დათვია.

– შემოდგომა სადღაა?

– მოდი, ფულუროში შევიდეთ, ჟოლოს ჩაი დავლიოთ, მე კი შემოდგომაზე მოგიყვები, – უთხრა ციყვმა.

თეკომ ისეთი არომატული ჩაი დააყენა, რომ ფულუროსთან კოდალა კაკუ მიფრინდა, ნაძვის ძირას კი ზღარბი ბაბაღე მისუნსულდა და სუროსგან დაწნულ კიბეს აუყვა. ციყვმა სტუმრები ჩაიზე მიიპატიჟა.

– შემოდგომა ყველგანაა: ყვითლად, წითლად და შინდისფრად შეფერადე-





ბულ ფოთლებში, წვიმის წვეთების მომაჯადოებელ ხმაურში, ბუნების თავბრუდამხვევ სურნელში, მთებიდან ჩამოსულ ნისლში, დამჭკნარი ფოთლებისა და ხმელი ბალახის სასიამოვნო შარიშურში. ძალიან ლამაზია წელიწადის ეს დრო, – გატაცებით ჰყვებოდა თეკო, – მერე შემოდგომას ზამთარი შეცვლის, ზამთარს გაზაფხული, გაზაფხულს კი ზაფხული მოჰყვება.

შიშველ ტოტებში უზარმაზარი მთვარე მიიზღაზნებოდა, ცივი ქარი დასისინებდა, სანადიროდ გამოსული მშიერი ტურები ხანგამოშვებით გულის გამანვრილებლად კიოდნენ. ტყის ბილიკზე ნაპოვნი ჯიბის ფარნით განათებული თეკოს ფულუროდან კი დიდხანს მოისმოდა მეგობრების გულიანი სიცილი.

სვლიანი ხოსტა და ორლარიანი მონეტა

შემოდგომა მიიწურა, სიცივე დღითი დღე მატულობდა, ჰაერში თოვლის სურნელი დატრიალდა და ტყის ზოგიერთი ბინადარი ზამთრის ღრმა ძილს მიეცა. კოსტას ერთთავად რული ერეოდა, მაგრამ ძილს გამირულად უძალიანდებოდა, რადგან თოვლში მეგობრებთან ერთად გუნდაობა და მოლიპულ ფერდობზე სრიალი ოცნებად ქცეოდა.

დღით კოდალამ ფულუროზე კაკუნით კოსტა რომ ვერ გააღვიძა, ადგა და შიგ თავში ჩაუკაკუნა. კარგად რომ გამოფხიზლებულიყო, ხვლიკი ტყისპირა ბილიკზე გავარდა, წიფლის ხესთან ჩაბუქნა და... ორლარიანი მონეტას მოჰკრა თვალი. კოსტა უცნაურ ნივთს დაებლაუჭა, ნაძვზე ძლივძლივობით აათრია. სელის თოკზე გამომშრალი სოკო თეკოს ფულუროში შეჰქონდა.

– თეკო, ნახე, რა მოვიტანე?! – კოსტამ მონეტა ორივე ხელით თავს ზევით აწია.

– ეგ რა არის? – გაკვირვებით შეხედა ციყვმა.

კოდალა კაკუმ უცხო ნივთს თვალი ჰკიდა თუ არა, ნეკერჩხლის ხიდან გადმოფრინდა, მონეტას ნისკარტი რამდენჯერმე ჩაჰკრა და მხრები აიჩეჩა:

– მატლი არ ჰყავს.

მონეტა ზღარბ ბაბალესაც აჩვენეს.

– არც ძვალთა და არც ქვა, – გაიკვირვა ბაბალემ, – ისე, ტყისა და ქვეყნიერების შესახებ ყველაფერი ბრძენმა ბუბომ იცის.

ბუ ბუბო ბებერი მუხის ფულუროში ცხოვრობდა. ბუბომ მონეტას ბასრი ბრჭყალები ჩაავლო, დიდი თვალები დააბრიალა და თავი რამდენჯერმე მრავალმნიშვნელოვნად შეაბრუნ-შემოაბრუნა:

– ეს მონეტაა. ამით ადამიანები ათას რამეს ყიდულობენ.

– შოკოლადსაც? – იკითხა კოსტამ.

ბუბომ თანხმობის ნიშნად ცალი თვალი დაახამხამა.

– გოგონა ნია დაგვეხმარება! – შესძახა თეკომ.

– ნიასთან წავიდეთ! – შესძახა გახარებულმა კოსტამ, რომელსაც ერთხელ ნაგემი შოკოლადის ზღაპრული გემო არა და არ ავიწყდებოდა.

სკოლიდან მომავალ გოგონას თეკოსა და კოსტას დანახვა ძალიან გაეხარდა. ციყვმა ნიას მონეტა გაუწოდა, კოსტამ კი პირი გაანკლაპუნა, თითები ყელზე დაისვა და სახეზე ნეტარება გამოეხატა. ნიას გაახსენდა, ორიოდ თვის წინათ რა სიამოვნებით მიირთვა კოსტამ მისი ნაჩუქარი შოკოლადის ნატეხი და



მაშინვე მალაზიისკენ გაემართა. ციყვი გოგონას მარჯვენა მხარზე შეასკუპდა, კოსტამ კი სასკოლო ჩანთაზე მოიკალათა.

გამყიდველმა ქალმა ციყვს გაოცებით შეხედა, კოსტას დანახვაზე კი შიშისგან შეჰკვივლა.

– დეიდა ანა, ესენი ჩემი მეგობრები არიან, – დაამშვიდა ნიამ. – შოკოლადის ფილა მომეცით.

კოსტა ათასგვარ ტკბილეულს პირდაღებული შეჰყურებდა და ნერწყვს ნერწყვზე ყლაპავდა. უცებ თაროებზე ჩამწკრივებულ ნივთებს შორის თეთრი, ყვავილებით მოხატული პანანინა ჩაიდანი დაინახა. კოსტას თვალწინ დაუდგა, სახელურმოტეხილი ჩაიდნიდან თეკო რა გაჭირვებით ასხამდა ჩაის, ნიას ხელზე შეეხო და თითი ფაიფურის ჩაიდნისკენ გაიშვირა. გოგონამ ორლარიან მონეტას კიდევ ერთი მონეტა დაამატა და გამყიდველს რალაც უთხრა. ქალმა თაროდან ჩაიდანი გადმოიღო და თეკოს გაუწოდა.

– კოსტა, შოკოლადი აღარ გინდა? – ღიმილით იკითხა ციყვმა.

– მინდა, მაგრამ ჩემი საუკეთესო მეგობარი ყველაფერს მირჩევნია, – დაუფიქრებლად უპასუხა ხვლიკმა.

კოსტას საქციელით გულაჩუყებულმა დეიდა ანამ ხვლიკს შოკოლადის



დიდი ფილა და ნუშის ნამცხვარი აჩუქა.

შებინდებულზე მეგობრები თეკოს ფულუროში ახალ ჩაიდანში დაყენებული ცაცხვის ჩაითა და ტკბილეულით იტკბარუნებდნენ პირს და კოსტას ფაფუკ ფიფქებზე, გუნდაობასა და თოვლის პაპაზე სახალისო ამბებს უყვებოდნენ.

ხვლიანი კოსტა და ყვავი ყვანრიბო

ციყვი თეკო დილით ფულუროდან გამოვიდა და სიხარულისგან ტაში შემოჰკრა – ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებულიყო.

– გაიღვიძე, გაიღვიძე, ნახე, რა ლამაზად თოვს! – ყურში ჩასძახა თეკომ კოსტას.

ხვლიკს არხეინად ეძინა.

თეკომ კოსტა ფულუროდან ტოტზე გამოახოხა, იქნებ, ფიფქებმა გამოაფხიზლოსო. ხვლიკს ჯერ ერთი ფიფქი დაეცა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე... კოსტას ტკბილად ეძინა. მაშინ კოდალა კაკუმ ნაძვის ტოტი შეარხია. ჩამოცვენილმა თოვლმა კოსტა შეაფხიზლა და თავისთვის რაღაც ჩაიბურღლუნა.

თეკომ სიტყვების უკეთ გასაგონად ხვლიკს ყური ლამის სახეზე მიადო. კოსტა დაფრთხა და შეჰყვირა:

– ვინ ხარ?

– ვერ მიცანი?! –

– თეკო! – გაიბადრა კოსტა, – ეს თოვლია? – კოსტამ ხელისგულები ფიფქებს შეუშვირა.

ციყვმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ჩამოდი, თოვლის კაცი გავაკეთოთ! – ქვემოდან დაიძახა ვილაცამ.

კოსტამ ტოტიდან გადაიხედა და რუხი, მოგრძოყურებიანი არსება დაინახა.

– ეს კურდღელი თებროა, – თქვა თეკომ.

კოსტა ხიდან ჩამოძვრა, ფეხები თოვლზე დადგა და გულიანად გაეცინა.

კურდღელი თებრო თოვლს დასწვდა, კარგად დააგუნდავა და ფიფქებზე გააგორა. გუნდა ფაფუკ თოვლს იკრავდა და თანდათან იზრდებოდა.

ციყვიც დაფაცურდა. მერე ორი მოზრდილი გუნდა ერთმანეთს დაადგეს, ჯოხისგან ხელები, შავი კუნელისგან თვალები და პირი გაუკეთეს, ცხვირის ადგილას კი თეკოს გადანახული სტაფილო მიამაგრეს.

ნაშუადღევს თოვამ იკლო, მეგობრებმა სასრიალოდ ფერდობისკენ გასწიეს და... იქიდან მობრუნებულებს თოვლის კაცი უცხვიროდ დახვდათ. ვილაცას სტაფილო გაექრო.

– ეი, სტაფილო ვინ მოიპარა? – ზღარბმა ბაბალემ ირგვლივ მიმოიხედა.

– კურდღელი თებრო სასრიალოდან ადრე წამოვიდა. ეტყობა, სტაფილოს შესაჭმელად მოიჩქაროდა, – დარწმუნებით თქვა თეკომ.

– მართლა? – დაეჭვდა კოსტა.



– აი, თებროც მობრძანდება! – შესძახა კაკუმ.

– თებრო, სტაფილო შენ შეჭამე? – მკაცრად ჰკითხა თეკომ.

– არა! – თებრომ კბილები გააკრაჭუნა.

– სასრილოდან ასე ადრე რატომ წამოხვედი? – დაინტერესდა ბაბაღე.

– ბენვი დამისველდა, სოროში დავბრუნდი და გავიმშრალე, – აღელვებისგან კურდღელმა უკანა თათი კუნძზე დოლივით დააკაკუნა.

– თურმე ბენვი დაუსველდა, – დაცინვით თქვა თეკომ, ფულუროდან კიდევ ერთი სტაფილო გამოიტანა, თოვლის კაცს მიამაგრა და თებროს დაემუქრა, – უკანასკნელი სტაფილოა, იცოდე, მიკარება არ გაბედო!

თვალზე ცრემლმომდგარი კურდღელი ცაცხვის ხესთან აიბუზა.

უცებ კოსტამ გაოცებისგან პირი დაალო. სტაფილო ნელ-ნელა თოვლის კაცის სახეში შეიმალა და გაუჩინარდა.

– შ-შ-შეხედეთ! – კოსტას ენა დაება, თოვლის კაცს ზურგიდან შემოურბინა და რას ხედავს – ყვავი მოფრენილა, სტაფილოც ნისკარტით უჭირავს – ყვავმა მეგობრების კამათით ისარგებლა, თოვლის კაცის კეფა გრძელი ნისკარტით გამოხვრიტა და სტაფილო მოხერხებულად გამოაძვრინა.

– ყვანჩიტო, სტაფილო დააბრუნე, თორემ... – ბაბაღე ყვავს დაემუქრა.

ყვავმა უარის ნიშნად უკმაყოფილოდ ჩაიყრანტალა, მაგრამ, როდესაც კაკუ გვერდზე დაუსკუბდა და ნემსივით ჩხვლეტია ნისკარტი მოუღერა, იძულებული გახდა, სტაფილო ძირს დაეგდო. ყვანჩიტო ყვა-ყვას ძახილით ნეკერჩხლის ხეზე აფრინდა.

– ბოდიში, თებრო, – დაიმორცხვა თეკომ.

– მიპატიებია, – თქვა კურდღელმა, – მალე ახალი წელი დადგება, ნაძვის ხე მოვრთოთ!

მეგობრებმა პატარა ნაძვი ამოარჩიეს და ლამაზად მორთეს, თუმცა კენწეროზე დასამაგრებლად ვერაფერი გამონახეს.

ყვავი ყვანჩიტო მეგობრების საქმიანობას გულსყურით აკვირდებოდა. ალბათ, მორთული ნაძვი მასაც მოეწონა, თუმცა სიტყვის უთქმელად გაფრინდა.

როდესაც ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა, ყვანჩიტო უკან დაბრუნდა. ტოტზე გატრუნული კოსტა ის იყო, ფულუროში უნდა შესულიყო, რომ საახალწლოდ მორთულ ნაძვზე ყვანჩიტო ფრთხილად შემოჯდა და კენწეროს ვარსკვლავი წამოაცვა. თურმე არც თეკოს სძინებია – ციყვმა ნაძვს ჯიბის ფარანი მიანათა და ვარსკვლავი ოქროსფრად აბრჭყვიალდა.

– ყოჩაღ, ყვანჩიტო! – შესძახა კოსტამ. ხვლიკს ვარსკვლავზე ძალიან ის უფრო გაეხარდა, რომ ყვავი ყვანჩიტო ასეთი კეთილი და მეგობრული აღმოჩნდა.

დილით ისევ გათოვდა. ყვანჩიტოს პირველად მოპარული სტაფილოც მოეტანა და თოვლის კაცს ახლა ცხვირად ორი სტაფილო ეკეთა. რა თქმა უნდა, იმ ორიდან ერთი სტაფილო საახალწლო საჩუქრად კურდღელ თებროს ერგო.



ხვლიანი ჯოსტა და ბყის თაგუნა ცუცა

შობის დილას თოვა შეწყდა, ღრუბელი გაიფანტა და მზემ გამოანათა. ხვლიკი კოსტა მეგობრებთან ერთად მოლიპულ ფერდობზე სრიალებდა.

საშობაო საჩუქრებით ხელდამშვენებულმა გოგონა ნიამ მამასთან ერთად ტყეს მიაშურა. კაცმა თეკოსა და კოსტას ფულუროებში საჩუქრები დაანყო, ჩანთიდან თხელი ფიცრები ამოალაგა და ფულუროებს ფანჯრიანი კარი შეაბა, მერე თეკოს ფარანში ელემენტები შეცვალა, კოსტას ფულუროში კი ახალი ფარანი დაკიდა. ამიერიდან თეკოს, კოსტას და მათ მეგობრებს არც იანვრის ყინვის შეეშინდებოდათ, არც ქარიშხლის და აღარც გრძელი, დაუსრულებელი ღამეები მოაბზრებდათ თავს.

სრიალით დაღლილი მეგობრები ტყეში დაბრუნდნენ. კოსტამ ნაძვის ხესთან აბუზულ მრგვალყურება ტყის თაგუნას მოჰკრა თვალი და უმაღლ მასთან გაჩნდა.

– შენ ვინ ხარ? – ჰკითხა კოსტამ.

– თაგუნა ცუცა, – აკანკალებულმა თაგუნამ ენა ძლივს დაიმორჩილა. – ტახმა უზარმაზარი ეშვებით სორო დამინგრია და ძლივს ნაგროვები მუხისა და ნიფლის თესლი შემიჭამა, მერე თხილიც მიაყოლა. გამოვასწარი, თორემ მეც გადამსანსლავდა. თოვლში სიარულისგან ფეხები მომეყინა, – უცებ თაგუნა ცუცას ენა ჩაუვარდა და შიშისგან შავი, მძივებივით თვალები გაუფართოვდა. მუხის ხესთან მელაკუდა ლიზილუიზა დასუნსულებდა, რომელმაც დანგრეულ სოროსთან თაგუნას მადის აღმძვრელი სუნი იყნოსა და მის კვალს გამოჰყვა.

კოსტას და ცუცას ხეზე აძრომა უნდოდათ, მაგრამ თაგუნა გაყინულ თითებს ძლივს ამოძრავებდა. ლიზილუიზამ ტუჩები წითელი ენით მოილოკა, გრძელი, ფუმფულა კუდი ანია და მათკენ გამოიქცა. კურდღელმა თებრომ თოვლი სწრაფად დააგუნდავა და მელაკუდას ცხვირში მოარტყა. ლიზილუიზა შეტორტმანდა. ყვავმა ყვანჩიტომ კი ავი ძაღლივით დაიყეფა. შეშინებულ მელაკუდას სუნთქვა შეეკრა, თვალები დაუელმდა და ნამით ადგილზე გაშეშდა. კოსტას თეკო მიეშველა და თაგუნა ხეზე აიყვანეს. გონს მოსული, განზილებული ლიზილუიზა იქაურობას კუდამოძეებული გაეცალა.

– ღორმუცელა ტახმა ცუცას ზამთრის სანოვაგე შეუჭამა, სახლიც დაუნგრია, ძალიან სცივა, – თქვა კოსტამ.

– გაზაფხულამდე ჩემს სოროში იცხოვროს, – თეკომ თაგუნას მიუაღერსა.

– არა, ცუცას ჩემთან ნავიყვან, – გადაჭრით თქვა კოსტამ.



– კარგი, მაგრამ ჯერ გავათბოთ, ცხელი ჩაი დავალევინოთ, – თეკო შებრუნდა და ახლალა შენიშნა ფულუროზე შებმული ფანჯრიანი კარი. ციყვმა კარი შეაღო, საშობაო საჩუქრებს მოჰკრა თვალი და აღტაცებით წამოიძახა:

– დარწმუნებული ვარ, ფულუროს კარი ნიას მამამ შეაბა და საჩუქრებიც მათ მოგვიტანეს.

– ასეა. ფერდობზე რომ ვსრიალებდით, ტყიდან მომავალი ნია და მამამისი დავინახე, – კვერი დაუკრა ყვავმა ყვანჩიტომ.

– ახლავე პიტნის ჩაის დავაყენებ. ამობრძანდით! – გადასცახა თეკომ მეგობრებს.

კოდალა კაკუმ სუროს კიბე ჩაუშვა და კურდღელსა და ზღარბს ჩასცახა:

– თებრო, ბაბალე, კიბეს ამოუყევით!

კურდღელმა თავუნა ცუცა გასათბობად ფუმფულა ბენვში ჩამალა, კოსტა კი გამალეებით უზელდა სიცივისგან გაყინულ ხელებს.

თეკომ სტუმრებს პიტნის ჩაი და გოგონა ნიას ნაჩუქარი ტკბილეული ჩამოურიგა. ამასობაში შებინდა კიდეც, ყვავმა ყვანჩიტომ თავუნა და კოსტა ზურგზე შეისვა და მეზობელ ხეზე გადააფრინა. კოსტამ ჭერზე ჩამოკიდებული ჯიბის ფარნით ფულურო გააჩახჩახა და ყვანჩიტომ, ცუცამ და კოსტამ ნიას მოტანილი გოზინაყი გემრიელად ჩააკნატუნეს. ხვლიკმა შოკოლადი წვრილწვრილად დაანაკუნა და ფულუროში დასახლებულ ობობა აბიბოს მიართვა.

მერე ყვანჩიტომ ყველას ტკბილი ძილი უსურვა და მუხის ხეზე გადაფრინდა.

თაგუნამ ფულუროში მყუდრო ადგილი მონახა, დაწვა და იმავე წამს ჩაეძინა. კოსტამ მძინარე ცუცას შეხედა, ვარდისფერი ცხვირისა და გრძელი ულვაშების დანახვაზე გაელიმა, ფარანი ჩააქრო და ცუცას თავი მიადო. შეხებაზე თაგუნამ ცალი თვალი გაახილა და ისევ ძილს მიეცა.

ობობა ერთხანს ცუცასა და კოსტას დაჰყურებდა, მერე გულაჩუყებულმა თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა, გონებაში ამოტივტივებული სიტყვები სტრიქონებად დაალაგა და... ობობა აბიბომ თავისი პირველი ლექსი დაწერა:

კოსტას ოქროს გულის სითბო
შენც გედება, გმირად გაქცევს.
სანამ ცუცა თვალს გაახელს
სწრაფად მოვესოვ ლამაზ ბადეს,
შიგ ჩავანვენ ორ მეგობარს,
მთვარის შუქზე ვანანავებ.



ხვლიანი ხოსტა და ლურჯთვალება ია

თებერვლის ბოლოა, ნელინადის ის დრო, როდესაც ზამთარს წასვლა არ უნდა, გაზაფხული კი მოსვლას ჩქარობს. გაყინულ ჩიტებს მცხუნვარე მზე მოენატრათ; ბუნაგებში გამოკეცილ ცხოველებს ძილი მობეზრდათ; ხეებსა და ბუჩქებზე კვირტები დაიბერა; სადაცაა, მწვანე ბალახი თავს წამოყოფს; ფუტკრებს ერთი სული აქვთ, ყვავილებიდან ტკბილი ნექტარი მოაგროვონ; სამშობლოსაკენ მოფრინავენ სხვა ქვეყნებში გამოსაზამთრებლად წასული ფრინველები. ქარიანი, თოვლიანი, ნათელი, ნისლიანი, წვიმიანი, თბილი და სუსხიანი დღეები ერთმანეთს ერკინებიან – ხან დარი ჯობნის, ხან ავდარი.

ამჯერად მზემ გამოანათა. ხვლიკ კოსტას სიამოვნებისგან თვალები მიენაბა და ხის ტოტზე გატრუნულიყო.

– კოსტა, აქ მოდი! – კურდღელმა თებრომ ხვლიკს ასძახა და წიფლის ხესთან რალაცას დააცქერდა.

კოსტას ხიდან ჩამოსვლა დაეზარა, მაგრამ თებროს ხათრი ველარ გაუტეხა და წიფელთან ზღაზვნით მივიდა. ნახევრად დამდნარ თოვლზე ლურჯი ფურცლები ოდნავ მოჩანდა.

– ნახე, ეს იაა, ძალიან ლამაზი ყვავილი, მას გაზაფხულის მახარობელსაც ეძახიან, – სახეგაბადრულმა თქვა თებრომ.

– მოდი, თოვლს გადავაცლი, – გამოცოცხლდა კოსტა.

– არა, ღამე ჯერ კიდევ ცივა, თოვლის საბანი კი იას ათბობს.

მომდევნო ორ დღეს ცა ღრუბელმა დაფარა და სუსხიანმა ქარმა დაუბერა. მერე კვლავ მზემ გამოანათა და ისე დააცხუნა, რომ ტყეში შემორჩენილი თოვლი რამდენიმე საათში დადნა. კოსტამ წიფელთან მიიღბინა და იის სილამაზით მოიხიბლა. უნდოდა, ლურჯ თვალებში ჩაეხედა, მოფერებოდა. კოსტამ ციყვ თეკოსა და თავუნა ცუცას მოყვანა გადანყვიტა. სულ რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, რომ გრძელი, მსხვილი, ბუსუსებიანი ჭია შენიშნა, რომელიც ყვავილისკენ მიცოცავდა.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ხვლიკმა.

– მე მუხლუხო ვარ. ძალიან მშია! ყვავილის სიფრიფანა ფურცლები უნდა შევეჭამო, – მუხლუხომ გზა განაგრძო.

კოსტამ მუხლუხოს პირი დაავლო, შორს გაიტაცა, ხეზე აძვრა და ბუსუსებიანი ჭია ტოტზე დატოვა. მერე კი ისევ იასთან მივიდა, მისი ლურჯი თვალების სილამაზით დატკბა და სურნელოვანი ფურცლები დაყნოსა.



– მზეს ნუ მიფარავ! – უსაყვედურა იამ.

კოსტამ უკან დაიხია და ყვავილს დაბნეული მიაჩერდა.

– რა დაჭყეტილი და საშიში თვალები გაქვს!

– არაფერს დაგიშავებ, – კოსტამ ამის თქმაღა მოახერხა, თვალები ცრემლით აეგსო, ხეს ამოეფარა და ჩუმად ატირდა.

კოსტას არ უნდოდა, ლურჯი ყვავილი შეეშინებინა, ახლოს აღარ მიდიოდა და მხოლოდ შორიდან უყურებდა. ასე გავიდა რამდენიმე კვირა და ერთ დღესაც, როდესაც ხვლიკი შიშითა და სიფრთხილით მიუახლოვდა, თავზარდაცემული ადგილზე გაშეშდა – იის დამჭკნარი ფურცლები მინას დაჰფენოდა. უცებ, საიდანღაც ლამაზი პეპელა გაჩნდა, რომელიც კოსტას გარშემო დაფარფატებდა.

– თამაშის ხასიათზე არა ვარ, – კოსტამ პეპელას ხელი აუქნია.

– კოსტა, ვიცი, მშვიერი მუხლუხოსგან ია შენ გადაარჩინე, – პეპელა თავს არ ანებებდა.

– ვინ გითხრა? – გაუკვირდა კოსტას.

– მეც იქ ვიყავი! – დარწმუნებით თქვა პეპელამ.

– იტყუები! იქ მხოლოდ მუხლუხო იყო, – კოსტამ ნათქვამი არ დაიჯერა.

– ის მუხლუხო მე ვარ, – პეპელას გაელიმა.

– სად პეპელა და სად მუხლუხო! – კოსტამ პეპელას საყვედურით ახედა.

– მუხლუხოები ჩვენსავე მოქსოვილ თბილ ქურთუკებში ვეხვევით. მერე ფრთები ამოგვდის, რომლებზედაც უხილავი მხატვარი ულამაზეს ფიგურებს ხატავს, წარმოუდგენელი ფერებით ღებავს და სამყაროს პეპლებად ვუბრუნდებით. სანამ იას უკანასკნელი ფურცელი მოსწყდებოდა, მოვასწარი და ყველაფერი ვუამბე, ვუთხარი, გაქრობას როგორ გადაარჩინე.

– ველარასოდეს ვნახავ, – გულდანყვევით ჩაილაპარაკა კოსტამ და თავი ჩაქინდრა.

– იამ შენთვის რალაც დამიტოვა, – პეპელამ პანანინა თესლი გაუნოდა, – მომდევნო გაზაფხულს ნუ დაელოდები, თესლი ქოთანში დათესე და იაც მალე ამოყოფს თავს.

კოსტამ პეპელას თესლი გამოართვა და თეკოსთან გაიქცა. ციყვს ყვავილები ძალიან უყვარდა და იის თესლი პატარა ქოთანში ჩარგო. კოსტამ ქოთანი თავის ფულუროსთან დადგა და იის ამოსვლას გულისფანცქალით ელოდა.

პეპელამ კოსტასა და იას ამბავი ყველას უამბო. ობობა აბიბომ სიკეთისათვის კოსტას მადლობა ლექსით გადაუხადა:

რამდენი რამ გამიგია,
წვერზე ფიფქმა დამთოვა,
ამ ლამაზი ამბისათვის
კოსტას დიდი მადლობა.



ხვლიჩი ჟოსტა და ბაყაყი ბაყიბო

გაზაფხულის მზემ გაილიმა და ყველას გული გაუთბო. თავუნა ცუცას ფულუროში უსაქმოდ ყოფნა მობეზრდა და კოსტას უთხრა:

– უსახლკარო შემეფარე, ჩემზე ზრუნავდი, ყველაფრისთვის დიდი მადლობა. ახლა ნავალ და სოროსთვის ადგილს მოვძებნი.

– უშენოდ მოვიწყენ, – კოსტას თვალები დაუსევდიანდა.

– ნუ ნაღვლობ, სოროს აქვე გამოვთხრი.

– მე კი დაგეხმარები, – სახე გაებადრა კოსტას.

ცუცას ნეკერჩხლისკენ გაუწია გულმა, მაგრამ იქ უკვე კვერნა იკეთებდა სოროს. ახლა მუხასთან გადაინაცვლეს, მაგრამ რად გინდა, იქ თხუნელა საქმიანობდა. წიფელთან ყავისფერი ხვლიკი თხრიდა ხვრელს. ველურ კაკალთან მაჩვმა მიირბინა. ტყე თანდათან გამეჩხერდა და მეგობრებმა კუნელის ბუჩქთან შეისვენეს. ერთხანს უხმოდ ისხდნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ. უცებ კოსტამ ხვრელს მოჰკრა თვალი, თავი შეყო და გაუჩინარდა. მერე უკან გამოძვრა და თავუნას გასძახა:

– ცუცა, აქ მოდი!

თავუნამ ხვრელთან მიირბინა.

– გრძელი ხვრელია, მგონი, აქ არავინაა.

სოროში ახლა ცუცა გაუჩინარდა, კოსტაც უკან მიჰყვა.

– თხუნელას გაკეთებული სოროა. დიდი ხნის წინათ მიუტოვებია, – თქვა თავუნამ.

მეგობრები ხვრელის ბოლოსკენ გაძვრნენ და ნაკადულის პირას ამოვიდნენ.

– აქაურობა ძალიან მომწონს, – თქვა ცუცამ.

კოსტა ნორჩ ბალახზე ზურგით განვა, ხელები თავქვემ ამოიწყო და მზეს მიეფიცა. თავუნამ ნაკადულთან მიირბინა, წყალი მოსვა, მეორე ნაპირზე თხილის ბუჩქი დაინახა და ნეტარებით გაიფიქრა, იქნებ, შარშანდელი თხილი კიდეც შერჩაო. ბევრი არ უფიქრია, ნაკადულში მოტივტივე ხის ნაფოტზე დახტა, მაგრამ მთებში დამდნარი თოვლისგან მომძლავრებულმა წყალმა ნაფოტი წაიღო.

– კოსტა, მიშველე! – შეჰყვირა ცუცამ.

ხვლიკი წამოხტა, ნაპირს სწრაფად დაუყვა და თავუნას გაუსწორდა. უცებ კოსტამ ციდან შურდულივით დაშვებული ქორი შენიშნა, მთელი ძალით ისკუპა და დახტომისას ნაფოტს ნაპირისკენ უბიძგა. ქორმა გრძელი, ბასრი ბრჭყალები წყალსლა ჩაასო და ჰაერში აიჭრა. მეგობრები ნაპირზე მიცურებული ნაფოტიდ-

ან გადმოხტნენ და ასკილის ბუჩქს შეაფარეს თავი. ქორი იქაურობას წივილით გაეცალა.

ცუცა და კოსტა ნაპირს აღმა აუყვნენ.

– მიტოვებული სორო ძალიან მომეწონა, – თქვა თავუნამ. – ფართოა, გრძელი, ზამთრის სარჩოსაც ადვილად შევინახავ და, როცა წრუნუნები მეყოლება, თავისუფლად ითამაშებენ.

– სორო მეც მომეწონა, – დაეთანხმა კოსტა.

– ესეც თხილის ბუჩქი! ახლა კი ჩემს სოროსთან დავბრუნდეთ, – თქვა ცუცამ.

კოსტა ჩაფიქრდა. ვერ ხვდებოდა, ნაკადულის მეორე ნაპირზე როგორ გადასულიყვნენ. უცებ მათ წინ ბაყაყი დასკუპდა.

– მე ვარ ბაყაყი, ჭიაღუების მყლაპავი, – რიხით თქვა ბაყაყმა.

– მე ხვლიკი კოსტა ვარ, ეს კი თავუნა ცუცაა, – თავუნასკენ მიიხედა კოსტამ. – ნაკადულზე გადასვლა გვინდა, დაგვეხმარები?

– დახმარების სანაცვლოდ რა საჩუქარს მთავაზობთ?

– არაფერი გვაქვს, – მოიწყინა ცუცამ.

– ეგ რა ცუდი სიტყვაა, არც გემო აქვს და არც სუნია! – ბაყაყმა წასვლა დააპირა.

– საახალწლო ტკბილეულიდან გადანახულ კანფეტებს მოგიტან, – სწრაფად



თქვა კოსტამ.

– ჯერ კანფეტი, მერე საქმე! – ბაყაყმა ზურგი აქციათ.
უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– ნუ ჯავრობთ, გეხუმრეთ. დაგეხმარებით, – გახალისდა ბაყაყი. – სახელი მაქვს ჩინებული, მეძახიან ბაყიტოს.

კოსტამ და ცუცამ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

ბაყიტომ ჯერ ცუცა გადაიყვანა მეორე ნაპირზე, შემდეგ კოსტა.

– ამ სოროში უნდა დავსახლდე, – ბაყიტოს უთხრა თავუნამ.

– ცუცა, ნავალ და ყველას აქ მოვიყვან, სოროს დალაგებაში დაგეხმარებით, – თქვა კოსტამ და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

დიდი დრო არ იყო გასული, რომ ცუცას, კოსტასა და ზღარბ ბაბაღეს ხვრელიდან ზედმეტი მიწა გამოჰქონდათ; ციყვი თეკო და ყვავი ყვანჩიტო სოროს შესასვლელს ასუფთავებდნენ, ნაკადულის პირას კი კურდღელი თებრო, კოდალა კაკუ და ბაყაყი ბაყიტო საქმიანობდნენ. შეღამებამდე მეგობრებმა ყველაფერი მოაწესრიგეს.

სავსე მთვარე ტყეს სიმშვიდეს ჰფენდა. დაღლილი მეგობრები თეკოს ფულუროში მოცვის ჩაის მიირთმევდნენ და ბულბულისა და შაშვის გალობას სულგანაბულები უსმენდნენ.



ხვლიანი ჯოსტა და ნისლი

აპრილის მშვენიერი დილა გათენდა. კოსტა ნაკადულის პირას ბაყაყ ბაყ-იტოსთან და თავუნა ცუცასთან ერთად კარგად გაერთო. თავუნამ მეგობრები შინ შეიპატიჟა და შუადღისას, კოსტა სოროდან რომ გამოძვრა, ტყე ნისლში ჩაძირული დახვდა.

– არ ნახვიდე! – სთხოვა ცუცამ.

– ნუ დარდობ, არაფერი მომივა, – კოსტამ თავუნა დაამშვიდა, ადგილიდან მოსხლტა და დაბუნდულ ტყეში გაუჩინარდა.

ნისლი იმატებდა, ჟინჟვლაც დაიწყო და მალე ხეების დანახვა შეუძლებელი გახდა.

– არაფერია, ფულურომდე ბევრი აღარ დარჩა, – თავი გაიმხნევა კოსტამ და სქელ ნისლში ხელების ცეცებით გაიკვლია გზა.

იქაურობა ზღაპრულ სამყაროს დაემსგავსა. ალაგ-ალაგ შეთხელებულ ნისლში ხან ჯადოსნური ფრინველის ფრთა ამოცურდა, ხან ვილაცის კუდი გაკრთა, ხანაც რქები. ხმები მოგუდულად და გაურკვეველად ისმოდა. მოულოდნელად კოსტა ვილაცას შეეჯახა.

– ვაი! – შეჰყვირა უცნობმა, გვერდზე გახტა და მაშინვე გაქრა.

– ვაი! – შესძახა კოსტამაც და ისარივით გაქანდა.

კოსტას სველ ბალახზე ფეხი დაუსხლტა და თავით სადღაც გადაეშვა. გულგახეთქილი ბედად რაღაც რბილს დაეცა და ბენწს ჩაებლაუჭა.

– ვინ ხარ? – დაიყვირა კოსტამ.

დამფრთხალი უცნობი ისე მალლა შეხტა, რომ ძირს დაშვებისას კოსტამ თავი ვერ შეიმაგრა, მიწაზე მოადინა ზღართანი და შიშისაგან გაიტრუნა.

ნისლი ნელ-ნელა აიკრიფა, ნორჩ ბალახს სიმწვანე დაუბრუნდა, ხეებს – სიმკვეთრე და... უზარმაზარი კუ სინამდვილეში დიდი ქვა აღმოჩნდა, ზღაპრული ურჩხული კი – გამხმარი ხე.

ცამ ცრემლიანი თვალები შეიმშრალა, ჟინჟვლა შეწყდა და მზემ გამოანათა. კოსტა პატარა ხევიდან ამოძვრა და შინისკენ მოკურცხლა.

ციყვი თეკო, ზღარბი ბაბაღე, კუ კუკური, ყვავი ყვანჩიტო და ბუ ბუბო რაღაცაზე გაცხარებით საუბრობდნენ. კოდალა კაკუს კი ნაძვიდან მატლები ამოჰყავდა.

– კოსტა მოვიდა! – შეჰყვირა თეკომ, – შენზე ვდარდობდით, ნისლში გზა ხომ არ აებნაო.

– ნისლს სხვანაირად ბურუსს ეძახიან, კიდევ ჯანლს, – ცოტა არ იყოს, უადგილოდ განმარტა ბუმ.

– გზა მართლაც ამებნა. ჯერ ვილაცას დავეჯახე, მერე კი ხევში ჩავვარდი.

– რამე ხომ არ იტკინე? – შეშფოთდა ზღარბი.

– ბედად რალაც რბილსა და ბენვიანზე დავეცი.

– ვინ იყო? – დაინტერესდა თეკო.

– არ ვიცი, – მხრები აიჩინა კოსტამ.

– არ იცი? – გაიკვირვა კუ კუკურიმ, – აკი ზედ დავეციო?

– კი, ზედ დავეცი, მაგრამ არაფერი უთქვამს, ვერც ვერაფერი დავინახე, მხოლოდ შეხტა, გდმომადლო და სადღაც გადახტა.

– იქნებ დათვი იყო? – შეშფოთდა თეკო.

– ან მგელი! – ხიდან ჩამოსძახა კოდალამ.

– ან მელაკუდა ლიზილუიზა! – თქვა ბაბალემ.

– მაჩვი ხომ არ იყო? – დაეჭვდა ყვავი ყვანჩიტო.

– ან ირემი. რქები ჰქონდა? – თეკომ რქების მაგივრად დაცქვეტილ ყურე-ბზე ნაივლო ხელი.

– იქნებ ლომის ფაფარი იყო? – კისერი ნაიგრძელა კუკურიმ.

– ჩვენს ტყეში ლომს რა უნდა, ლომები აფრიკასა და ინდოეთში ცხოვრობენ, – დარწმუნებით თქვა ბევრის მცოდნე ბუბომ.

სად იყო და სად არა, ხტუნვა-ხტუნვით კურდღელი მოქანდა, შეშინებული ღრმად სუნთქავდა, ლაპარაკი უჭირდა:

– ნისლი რომ ჩამონვა, ხევში ვიყავი. უცებ ზურგზე ვილაც დამახტა, ხელეები მაგრად ჩამჭიდა და დაიყვირა. შემეშინდა, ავხტი და მოძალადე ძლივს მოვიშორე.





მეგობრებს გაეცინათ.

– რა გაცინებთ? – წყნით თქვა თებრომ.

– ეგ მოძალადე მე ვიყავი, – დაიმორცხვა კოსტამ.

– შენ?! მე კი მეგონა, საშიშ მტაცებელს გავექეცი, – გაელიმა კურდღელს. ცუცაც გამოჩნდა, ისეთი სისწრაფით მორბოდა, კინაღამ გასცდა მეგობრებს.

– გულმა არ გამიძლო და კოსტას რამე რომ არ შემთხვეოდა, უკან გამოვედევნე, – ამოიქაქანა თავუნამ, – უცებ ვილაცას დავეჯახე. ვაიო, შეჭყვირა და მოკურცხლა.

– შენც ვაი დაიძახე, არა?! – ჰკითხა კოსტამ.

ცუცამ გაკვირვებით შეხედა.

– ნისლში საუკეთესო მეგობრებმაც კი ვერ იცნეს ერთმანეთი, – ღიმილით თქვა ბუმ.

კოსტა თავუნას გადაეხვია. გაუხარდა, რომ ცუცამ მარტო არ მიატოვა და გაუვალ ნისლში თავი საფრთხეში ჩაიგდო.

კოსტამ მეგობრები საახალწლო ტკბილეულიდან შემორჩენილ კანფეტებზე დაპატიჟა. კარგად მოიღბინეს, იმდღევანდელ სახალისო ამბებზე ბევრი იცინეს, სხვა ამბებიც გაიხსენეს და შთაბეჭდილებებითა და ემოციებით დაღლილებს ვინც სად იჯდა იქვე ჩაეძინა.

მხოლოდ ობობა აბიბო ფხიზლობდა, დიდ ნათელ მთვარეს შესცქეროდა და ცუცას თავდადებაზე ლექსს წერდა.

ხვლიჩი კოსტა და მაჩვი მანუჩარი

ციყვმა თეკომ მოცვის ნამცხვარი გამოაცხო, პანია ნაჭრებად დაჭრა და თავუნა ცუცვასთან და ბაყაყ ბაყიტოსთან კოსტას გაატანა. უკანა ფეხებზე შემდგარი ხვლიკი სინით ხელდამშვენებული მიდიოდა და ნამცხვარს მოჯადოებულებით დაჰყურებდა.

კაკლის ხეს რომ მიუახლოვდა, სოროდან მაჩვი მანუჩარი გამოძვრა, ნესტოები დაბერა, თვალეზი გადაატრიალა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. უცებ კოსტა შენიშნა და გასძახა:

- კოსტა, რა გაქვს?!
- ნამცხვარი! – ხვლიკმა მაჩვს აღმაცერად გახედა.
- რა სასიამოვნო სურნელი მოდის. ალბათ, ძალიან გემრიელია.
- არ ვიცი.
- როგორ, ჯერ არ გაგისინჯავს? – გაუკვირდა მანუჩარს.
- არა. ნამცხვარი მეგობრებთან მიმაქვს.
- ხო იცი, მეც შენი მეგობარი ვარ.

კოსტა მანუჩარს მიუახლოვდა, სინი გაუნოდა. მაჩვმა ნამცხვარი აიღო, ჩაკბიჩა, მუცელზე ხელი დაისვა და ხვლიკს უთხრა:

- შენც მიირთვი, მარტო ხომ არ შევჭამ.

მაჩვისგან შეგულიანებულმა კოსტამ ნამცხვარი სიამოვნებით დაყნოსა და მერე უმალ გადასანსლა.

- პირში დნება, – თქვა მანუჩარმა და სინს თვალი შეავლო.

კოსტამ მაჩვის ხარბი მზერა რომ დაიჭირა, იქაურობას გაეცალა.

- მადლობა! – ეშმაკურად მიაძახა მანუჩარმა.

კოსტას სინი სიარულში ხელს უშლიდა და ფრთხილად მიდიოდა.

მანუჩარმა სოროდან ტყის ბილიკზე ნაპოვნი მზის სათვალე გამოიტანა, ნიფლის ხესთან მიიბრინა, ხელში ჯოხი დაიჭირა და სათვალე გაიკეთა. სად იყო და სად არა, კოსტაც გამოჩნდა.

– ვინ ხარ? – შეცვლილი ხმით დაიძახა მანუჩარმა და ხელეზი წინ გაიწვდინა.

კოსტა გაჩერდა და უცნობს მიუგო:

- კოსტა!

– რა მადის აღმძვრელი სურნელია. ნეტავ, რა უნდა იყოს?

ხვლიკმა არაფერი უპასუხა, სინი თავს ზემოთ აწია და წასვლა დააპირა.



– ბრმა ვარ, ვერაფერს ვხედავ. ალბათ, ძალიან გემრიელია.

კოსტას ბრმა მაჩვი შეეცოდა და გამონვდილ ხელში ნამცხვარი ჩაუდო. მანუჩარმა ჩაკბიჩა, დიდხანს ლეჭა, ნეტარებით გადაყლაპა და კოსტას უთხრა:

– ნამცხვარი შენც აილე, თორემ მადა დამეკარგება.

ხვლიკმა ბრმას ხათრი ვერ გაუტეხა.

– კიდევ შევჭამოთ, – თქვა მანუჩარმა.

– არა! – კოსტამ ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

მანუჩარმა სახეზე მური წაისვა, მოკურცხლა, ჯირკვლე ჩამოჯდა, ბენვი აიჩენა, თავი მხრებში ჩარგო და ხელები ააცახცახა.

კოსტაც გამოჩნდა.

– კოსტა! – ჩახლეჩილი, მოხუცის ხმით დაუძახა მანუჩარმა. – ხელში რა გიჭირავს?

ხვლიკი მოხუც მაჩვს მიუახლოვდა და ხმამაღლა უთხრა:

– ნამცხვარი.

– ეჰ, რამდენი ხანია, ნამცხვარი აღარ მიჭამია. სიკეთე ქენი, გამასინჯე. სინზე ოთხი ნაჭერილა იდო.

– ძლივს დავდივარ, მხედველობაც მღალატობს, ყველაფერი მტკივა. ნამცხვარი გამახალისებს, ძალას შემმატებს.

კოსტას გული აუჩუყდა და მოხუცს ნამცხვარი მიართვა.

– შენც გასინჯე! – გაუღიმა მანუჩარმა.

ხვიკლმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

– გასაგებია, მოხუცთან ერთად ჭამას არ კადრულობ, – იწყინა მაჩვმა.

კოსტა მოხუცის წყენინებას მოერიდა და ერთ ნაჭერს მასთან ერთად შეექცა.

– ბარემ დარჩენილი ნამცხვარიც დავაგემოვნოთ, – თქვა მანუჩარმა და ხვიკს მიაჩერდა.

– არა, – იუარა კოსტამ. – მეგობრებს უნდა წავუღო.

მანუჩარი ჯირკიდან წამოიწია და ხელი ნამცხვრისკენ წაიღო. კოსტამ ჯირკზე დადებული სათვალე იცნო, ყველაფერს მიხვდა და მანუჩარს უსაყვედურა:

– რა გაუმაძღარი ყოფილხარ, მთელი ნამცხვარი შემიჭამე!

– შენც გემრიელად მიირთმევდი! ღორმუცელობამ მეგობრები დაგავინცა.

კოსტამ სინანულით ამოიოხრა – მანუჩარს რას ერჩის, მართლაც, საკუთარმა მსუნაგობამ გადაავინცა თავუნა და ბაყაყი.

კოსტამ დარჩენილი ორი ნაჭერი ცუცას და ბაყიტოს მიუტანა. მათ ხვიკს ნამცხვარი დაუფიქრებლად უწილადეს. კოსტას ცრემლები მოადგა და მსუნაგობისთვის პატიება ითხოვა.

მეგობრებმა მანუჩარის ეშმაკობებზე ბევრი იცინეს, ნამცხვარს მაღიანად შეექცნენ და გადანყვიტეს, ამ უგემრიელესი ნამცხვრის გამოცხოვისთვის ციყვი თეკო რაიმე სიურპრიზით გაეხარებინათ.



ხვლიანი ჯოსტა და არწივი ყაფლანი

ციდან არწივის ყაფლაში გაისმა. ფრინველთა მეფე ფრთების ტყლაშატყლუშით დაეშვა და ნაძვის ტოტს ბასრი კლანჭებით ჩააფრინდა, მერე ფულუროს კარს მოკაუჭებული ნისკარტით მიუკაკუნა, მაგრამ არავინ გამოპასუხებია.

სიცხით მოთენთილი კოსტა ნაძვზე აცოცდა და ფულუროსთან, ტოტზე ამაყად ჩამომჯდარი არწივი დაინახა, ცივი, გამჭრიახი თვალებით რომ შეჰყურებდა.

– შენი ფულუროა?! – მკაცრად იკითხა არწივმა.

– ჩემია, – გაუბედავად უპასუხა ხვლიკმა.

– რა გქვია?

– კოსტა.

– მე ყაფლანი. მონადირეებმა დამჭრეს. წყალი დამალევენე!

კოსტამ ფულუროს კარი გამოაღო და ჯამით წყალი გამოიტანა.

– მონადირეებმა ტყვია ფრთაში მომარტყეს. ძლივს გამოვალნიე სამშვიდობოს. ძალას ვკარგავდი, ცალ ფრთას ველარ ვაქნევდი... – ყაფლანმა ტკივილისგან ყრუდ ამოიკვნესა, წყალი მოსვა.

კოსტამ ახლალა შენიშნა, რომ არწივს მარჯვენა ფრთა დასისხლიანებოდა.

– ველარ გავფრინდები, – ნუხდა ყაფლანი.

– აქ დარჩი. მე და ჩემი მეგობრები საჭმელს მოგიტანთ. გამოკეთდები და გაფრინდები.

– უჩემოდ დედა არწივი ბარტყებს ვერ გაზრდის.

– თეკო! – მეზობელს გასძახა კოსტამ.

ციყვმა ტოტიდან ტოტზე ისკუპა, უმაღლ კოსტას ფულუროსთან გაჩნდა, მაგრამ არწივის დანახვაზე შეცბა, გაფითრდა.

– ყაფლანი მონადირეებმა დაჭრეს, ბუდეში კი დედა არწივი და ბარტყები ელოდებიან.

– ბუ ბუბოს მოვიყვან, რამეს გვირჩიევს, – თქვა თეკომ და ბუბოსკენ მოკურცხლა.

ამასობაში კოსტას ფულუროსთან ყვავი ყვანჩიტო მოფრინდა, ხის ძირას კი კურდღელმა თებრომ და ზღარბმა ბაბალემ მოირბინეს.

მაღლე ბუ ბუბოც მოფრინდა და არწივის ჭრილობა შეათვალა.

– შეიძლება ძვალის დაზიანებული იყოს. ადამიანებს ცხოველებისა და ფრინველების ექიმებიც ჰყავთ, რომლებსაც ვეტერინარებს ეძახიან.

– სასწრაფოდ გოგონა
ნია უნდა ვნახოთ, – თქვა
ციყვმა თეკომ.

– ადამიანებს ჩვენი ენა
არ ესმით, – ბუბო ქრილო-
ბას დააცქერდა.

– ნიას მოლაპარაკე
თუთიყუში ჰყავს. თუთიყ-
უში გოგონასთან დაგვალა-
პარაკებს, – თქვა თეკომ.

ბუბო გოგონას ფანჯა-
რასთან დაფრინდა. კოსტა
ბუს ფუმფულა კისრიდან
ჩამოხტა. რაფაზე გალია
იდგა, გალიაში კი თუთიყ-
უში იჯდა.

– ჟაკო, ნიას დაუძახე, საჩქარო საქმე გვაქვს, – სწრაფად თქვა კოსტამ.

– ნია! – დაიძახა ჟაკომ.

ოთახში გოგონა შემოვიდა. კოსტა იცნო, გაუღიმა და ხელი დაუქნია. კოს-
ტამ და ბუ ბუბომ ჟაკო მოიშველიეს და ნიას ყველაფერი შეატყობინეს.

– ვეტერინარი ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, – ნია მამასთან გაიქცა.

მზე ჩადიოდა, ნიას მამა და ექიმი ნაძვზე რომ ავიდნენ და არწივი ფრთხი-
ლად ჩამოიყვანეს.

– საშიში არაფერია. ჩემთან მეყოლება, ერთ-ორ კვირაში მოვარჩენ და გა-
ვუშვებ. ჟაკოც დამეხმარება, ყველაფერს გავაგებინებ, – თქვა ვეტერინარმა.

– გპირდები, დედა არწივს ბარტყების მოვლაში ყველანი მივეხმარებით, –
ყვავმა ყვანჩიტომ ყაფლანი დააიმედა.

– არწივის ბარტყს ადამიანები მართვეს ეძახიან, – ჩაურთო ბუბომ.

– ბუდე უღრან ტყეში, ყველაზე მაღალ ნიფლის ხეზე მაქვს, – თქვა
ყაფლანმა.

– არ იდარდო, შენს მართვეებს არაფერს მოვაკლებთ, – გაიღიმა კოსტამ.

კაცებმა არწივი ბალახნაფენილ ხელის საზიდარზე დასვეს და სოფლისკენ
მიმავალ ბილიკს გაუყვინენ.

ყვანჩიტომ და კოდალა კაკუმ უზარმაზარი ნიფლის ხის კენწეროზე არწი-
ვის ბუდე იპოვეს და დედა არწივს ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. ადვილი
არ გამოდგა ბატრყებზე ზრუნვა: ყვავს, ბუს და კოდალას წინ და უკან ფრე-



ნით სიქა გასძვრათ; თეკო, ცუცა, კოსტა და კურდღელი თებრო კენკროვან მცენარეებს ეზიდებოდნენ. ბაყაყი ბაყიტო და ზღარბი ბაბაღე მავნე მწერებს იჭერდნენ. ასე, ტყის ბინადართა გვერდში დგომით მართვეები დღითი დღე იზრდებოდნენ და მშვენდებოდნენ – მატყლის გორგალივით სამი ქარქარა ბარტყი მეგობრებს ძალიან შეუყვარდათ.

ერთ მზიან დილას რალაცამ ჰაერი შხუილით გააპო და... კოსტას ფულუროსთან არწივი დაეშვა. ყაფლანი კაცივით აიმართა, ფრთები აიკრიფა და აქეთ-იქით ამაყად მიმოიხედა.

– გამარჯობა, კოსტა! – ომახიანად თქვა არწივმა. – ეს საჩუქარი შენთან გოგონა ნიამ გამომატანა, – არწივმა ქალღმის პარკი გაუნოდა.

კოსტამ პარკი გახსნა და ხელთ მისი უსაყვარლესი შოკოლადის ორი ფილა შერჩა.

– ნიამ საჩუქარი მართვეებთანაც გამომატანა, – არწივმა კლანჭებში მოქცეული მეორე პარკი გამოაჩინა. – ჩემი მართვეები გაიზრდებიან, ფრენას ისწავლიან და აუცილებლად გესტუმრებით.

– შოკოლადის ფილებს მართვეებს შევუნახავ და, ჩემთან რომ მოფრინდებიან, გაგუმასპინძლდები, – კოსტას თვალბში სითბო და სიყვარული ჩაეღვარა.

– ყველაფრისათვის დიდი მადლობა! – არწივმა ვეება ფრთები დაიქნია და ცაში აიჭრა, კამარა შეკრა, იქაურობას რამდენიმე წრე დაარტყა და მონატრებულ მართვეებს მიაშურა.



ხვლიჩი კოსტა და იხვის ჯაჯულაბი

ციყვი თეკო დილიდან ვაშლის ნამცხვარს აცხობდა. ჰაერში საამო სურნელი ტრიალებდა და კოსტა ციყვის ფულუროსთან მოუთმენლად სცემდა ბოლთას.

– კოსტა! – დაიძახა თეკომ, – რვა ცალი ჟოლო მომიკრიფე რა! ნამცხვრის თითო ნაჭერს თითო ჟოლოს დავადებ. კალათას გაგატან, რომ არ დაიჭყლიტოს. ყოველი შემთხვევისთვის, ათი ჟოლო წამომიღე.

– ახლავე! – უპასუხა კოსტამ, პატარა კალათას ხელი დაავლო, ნაძვიდან ჩაცოცდა და ჟოლოს ბურჩებისკენ მოკურცხლა. უცებ შედგა. – ათი ჟოლო, მაგრამ ათი რამდენია? ერთი... ორი... სამი... ოთხი... – ხვლიკმა ოთხზე მეტი თვლა არ იცოდა.

კოსტა მუხის ხისკენ გაიქცა, ბუ ბუბოს ფულუროსთან აცოცდა და სულ-მოუთქმელად ჰკითხა:

- ბუბო, ათი რამდენია?
- შენ რა, თვლა არ იცი?
- არა!

ბუ ფულუროდან გამოვიდა, ტოტიდან რამდენიმე რკო მონყვიტა და კოსტას წინ დაულაგა.

– მისმინე: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, – ბუბომ რკოები სათითაოდ გადაანყო. დაიმახსოვრე?

კოსტამ მხრები აიჩჩია.

– ასე არ გამოვა, უნდა გასწავლო! თვლა აუცილებლად დაგჭირდება.

– კარგი, მასწავლე, – დაყაბულდა კოსტა.

– ახლა წადი, ეს რკოები წაიღე და თეკოს ზუსტად იმდენი ჟოლო მიუტანე რამდენი რკოცაა. ხვალიდან კი მეცადინეობას შევუდგეთ.

კოსტამ რკოები კალათაში ჩაალაგა, მუხის ხიდან ჩაცოცდა, ჟოლოს ბურჩებთან მიირბინა და კალათიდან ერთ რკოს რომ ამოიღებდა, სანაცვლოდ შიგ ერთ ჟოლოს დებდა.

ხვლიკი ციყვის ფულუროსთან გახარებული დაბრუნდა. თეკომ ჟოლოები გადათვალა და კოსტა შეაქო:

– ყოჩაღ, ზუსტად ათია.

– ბუბო დამეხმარა, თან დამპირდა რომ თვლას მეც მასწავლის, – ამაყად თქვა კოსტამ.

მეორე დილით კოსტამ ბუბოს მიაკითხა და თეკოს გამომცხვარი ნამცხ-

ვარი მიართვა. ერთი დღე დასჭირდა ბუბოს ხვლიკისთვის ათამდე დათვლა რომ ესწავლებინა. დამატებით თეკომაც ამეცადინა. კოსტას მთელი დღე თვლა მობეზრდა, თამაში და მზეზე ნებივრობა მოენატრა. დილით ბუბოსთან მისულმა ბუს უთხრა:

– ბუბო, დიდი მადლობა, ათამდე თვლა უკვე ვიცი. მეტი აღარ მინდა, კარგი? რაში უნდა გამომადგეს?

ბუს არაფერი უთქვამს, ეშმაკურად ჩაიციხა და ნაკადულისკენ გაქცეულ კოსტას კეთილი მზერა გააყოლა.

ცა პატარ-პატარა ღრუბლებით მოიფინა. დროდადრო ღრუბელი მზეს ეფარებოდა და მიწას ჩრდილი ეცემოდა.

კოსტას გამოჩენას თავუნა ცუცა, ბაყაყი ბაყიტო და მარჯი მანუჩარი ყიჟინით შეეგებნენ.

– კოსტა, ცაზე ღრუბლების დათვლას ვაპირებთ, შენც დაგვეხმარე. – შესთავაზა ცუცამ.

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... – კოსტამ დათვლა ყველას დაასწრო, – ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი... – ხვლიკმა დათვლა შეწყვიტა და დაბნეულმა მეგობრებს გადახედა.

– რა მოხდა კოსტა, რატომ გაჩუმდი? – მანუჩარმა კოსტას დამცინავად შეხედა.

– ათამდე თვლა ბევრმა იცის, ასამდე კი ცოტამ, კოსტამ ათი დაითვალა, ესე იგი ცოტა, – ხუმრობის ხასიათზე დადგა ბაყიტო.

კოსტამ თავი დახარა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

– ასე რატომ მოიქეცი? – ცუცამ ბაყიტოს უსაყვედურა.

– კოსტა განგებ გავაბრაზე. აი ნახავ, ასამდე თვლასაც მალე ისწავლის, – თავი იმართლა ბაყიტომ.

– კოსტა, აქ მოდი! – ეკლიანი ბუჩქებიდან მოისმა ხმა.



ხვლიკი ბურქებში შეძვრა და იხვი დაინახა.

– კოსტა ყველას ვერ ვენდობი, სადაცაა ჩემი ჭუჭყულები გამოიჩეკებიან. რაც კვერცხებზე დაფეხეცი, ყოველ დილით, ბურქს ერთ ფოთოლს ვაცლი და ბუდესთან ვანყობ. ჭუჭყულების გამოჩეკას ოცდაშვიდი დღე უნდა. მე თვლა არ ვიცი. გეხვენები, მონყვეტილი ფოთლები გადათვალე, მაინტერესებს რამდენი დღე დარჩა ჭუჭყულების გამოჩეკამდე, – იხვმა კოსტას მავედრებელი თვალე-ბით შეხედა.

კოსტამ ფოთლებს დახედა და მიხვდა, ათზე ბევრად მეტი იქნებოდა.

– ასამდე თვლას ვისწავლი, ორ დღეში დავბრუნდები და დაგეხმარები.

კოსტამ ბუბოს მიმატებისა და გამოკლების სწავლაც სთხოვა. სადამომდე ბუბო ამეცადინებდა, გვიან ღამემდე კი თეკო ასწავლიდა.

მესამე დღეს კოსტა ბურქებში შეძვრა და ფოთლები გადათვალა.

– ზუსტად ოცდაშვიდი ფოთოლია.

– ჭუჭყულები დღეს გამოიჩეკებიან! – შესძახა უზომოდ გახარებულმა იხვმა.

უცებ ჭუჭყუკის ხმა გაისმა. დედა იხვი ბუდიდან ადგა. გატეხილი კვერცხი-დან ფუმფულა, ყვითელი ჭუჭყული გამოძვრა. კვერცხები ერთმანეთის მიყოლე-ბით ტყდებოდა, კოსტა კი გაბრწყინებული სახით ხმამაღლა ითვლიდა:

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი ჭუჭყული; თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი ჭუჭყული!..



ხვლიჩი ჯოსტა და შაბრაწული სოკოები

კოსტამ ეკლიან ბუჩქებში, მიწის პირას, ბუდე შენიშნა. ცოტა რომ მიუახლოვდა, ბუდეში მოცისფრო-მომწვანო კვერცხები დაინახა.

– დედა ჩიტს კვერცხები მიუტოვებია, – გაბრაზებით ჩაილაპარაკა ხვლიკმა. – კვერცხებს უპატრონოდ არ დავტოვებ, დავიცავ, გავუფრთხილდები, მერე კი ბარტყებს გავზრდი, – ხვლიკი კვერცხებს გადაეფარა, ჩაეხუტა.

– კვერცხები არ გადასანსლო! – დასჭყვივლა განრისხებულმა შაშვმა.

– არა, რას ამბობ... – დაბნეული აღულლულდა კოსტა.

– აქედან მოშორდი! ეტყობა, ჩასაფრებული იყავი და, როგორც კი წასახემებლად გავფრინდი, მაშინვე კვერცხებს ეცი, – ქოთქოთებდა შაშვი.

კოსტას თვალზე ცრემლი მოადგა, ბუჩქებს გაერიდა, გულნატკენი თავუნა ცუცვას სოროსკენ გაემართა.

ბაყაყმა ბაყიტომ და თავუნამ ნირწამხდარი კოსტა გუნებაზე მოიყვანეს, მერე ნაკადულში იჭყუმპალავეს. ხვლიკი დიდ ქვაზე წამოწვა და მზეს მიეფიცხა, ცუცვა და ბაყიტო კი იქვე, თხილის ბუჩქების ჩრდილს შეეფარნენ. მინდორში ათასფერი ყვავილები იწონებდნენ თავს; ირგვლივ პეპლები დაფარფატებდნენ; დაუზარელი ფუტკრები ყვავილებიდან ამოღებულ ნექტარს სკებში ეზიდებოდნენ; ნაკადული სასიამოვნოდ რაკრაკებდა.

– წუხელ იწვიმა, ნაწვიმარზე კი ბევრი სოკო ამოდის, დავკრიფოთ და შევწვათ, – თქვა ცუცვამ.

– შხამიანი სოკო რომ შეგვეპაროს? – შეშინდა ბაყიტო.

– სოკოს ცნობა ციყვმა თეკომ მასწავლა – თეკო სოკოს ანობს და ზამთრისთვის ინახავს, – დაამშვიდა ცუცვამ.

– რა მაგარია, სოკოს შესაგროვებლად წავიდეთ! – კოსტა ქვიდან წამოხტა.

ცუცვამ სოროდან მოწნული კალათები გამოიტანა. ყავისფერქუდიანი პანია სოკო პირველად კოსტამ შენიშნა და მხიარულად შეჰყვირა, მერე ბაყიტოს აღტაცებული შეძახილი გაისმა. ცუცვა სოკოებს ყურადღებით აკვირებოდა და კალათებში აწყობდა. მალე კალათები სოკოთი გაივსო. სად იყო და სად არა, უცებ მაჩვი მანუჩარი გამოჩნდა.

– სოკოს შეგროვებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, შხამიანი სოკო ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია, – მაჩვმა ბაყიტოს, ცუცვასა და კოსტას კალათები ბალახზე წამოაპირქვავა.

მეგობრები მანუჩარს პირდაღებულები შეჰყურებდნენ. ბრძნული იერით



მდგარმა მაჩვმა ცუცას კალათში მხოლოდ ერთი სოკო ჩააბრუნა.

– სწორედ ეს სოკოა საჭმელად ვარგისი, დანარჩენი ყველა გადასაყრელია. კიდევ კარგი, შეგვხვდით, თორემ ნამდვილად მოინამლებოდით. გულს ნუ გაიტეხთ, როცა სოკოს დაკრეფთ, ჯერ მე შემომიარეთ. გახსოვდეთ, ზოგი სოკო ადამიანისთვისაც სასიკვდილოა. ახლა ნადით, ამ შხამიან საზიზღრობას კი ხევში გადაყერი, – მანუჩარი სოკოებს სახეგაბადრული დააცქერდა.

– ამისთვის ვინვალეთ? – ჩაილაპარაკა ბაყიტომ, ერთადერთ სოკოს სინანულით დახედა და ბილიკს ფეხათრევით გაუყვა.

მანუჩარმა სოკოები სასწრაფოდ წამოკრიფა და სადღაც გაშპა. კოსტა ფიქრებიდან გამოერკვა:

– მანუჩარი ძალიან მსუნაგი და მატყუარა ვინმეა! ცუცა, ბაყიტო, ხევში გადაყრილი სოკო მოძებნეთ! მე კი თეკოს მოვიყვან.

თაგუნამ და ბაყაყმა სოკოებს ვერსად მიაგნეს. მალე კოსტა და თეკოც მოვიდნენ. მეგობრები მანუჩარის სოროს მიადგნენ.

– მანუჩარ, ჩვენი მოტყუება გინდოდა, მაგრამ არ გამოგივიდა. კეთილი ინებე, სოროში შებრძანდი და სოკოები გამოიტანე, – მკაცრად უთხრა ბაყიტომ.

– არა, რას ამბობ, მოტყუებას როგორ ვიკადრებ, – იუარა მაჩვმა.

– მაშინ სოროში შეგვიშვი, – გაცხარდა ცუცა.

მაჩვი სოროს აეფარა.

– მანუჩარ, სოკო დაგვიბრუნე, მერე კოცონი დავანთოთ, შევწვათ და ყველამ ერთად მოვილხინოთ, – დაუყვავა თეკომ.

– ახლავე შევწვავთ? – მაჩვს ციყვის შეთავაზება ჭკუაში დაუჯდა.

– ახლავე.

მარჯმა სოკო უმალ გამოიტანა.

– მანუჩარ, ისევ იტყუები. სოკო დათვლილი მქონდა. შვიდი ცალი აკლია,
– გაბრაზდა კოსტა.

– დანარჩენებიც უკან დააბრუნე, თორემ გემრიელ ვახშამზე აღარ დაგ-
პატიუბთ! – გადაჭრით უთხრა თეკომ.

მანუჩარი სოროში უხალისოდ შეძვრა, მეგობრებს კი სახეზე ღიმილი
დასთამაშებდათ.

მზე მთას მიეფარა, აგრილდა. მეგობრებმა გამხმარი გირჩები შეაგროვეს,
კოცონი გააჩაღეს და სოკოები ნაკვერჩხალზე შებრანეს. ტყეში შემწვარი სო-
კოს მადისაღმძვრელი სურნელი დატრიალდა. მალე ზღარბი ბაბაღე გამოჩნდა,
მას კურდღელი თებრო მოჰყვა, კურდღელს ბუ ბუბო, ყვავი ყვანჩიტო და კო-
დალა კაკუ. როგორც იქნა, კუ კუკურიმაც მოაღწია.

მეგობრებმა სოკო მადიანად მიირთვეს. განსაკუთრებული სიამოვნებით
მანუჩარი ილუკმებოდა. მერე ბალახზე და ფოთლებზე გაჩენილი ნამის წვეთე-
ბით წყურვილი მოიკლეს და ბულბულის ტკბილ, ღამეულ გალობას ყური მი-
უგდეს.

კოსტამ ეკლიანი ბუჩქებისკენ მოკურცხლა და შებრანული სოკო დედა შაშ-
ვს მონინებით მიართვა.



ხვლიჩი ჟოსტა და გუგულის ჯვერცხი

კოსტა თაგუნა ცუცასთან და ბაყაყ ბაყიტოსთან მიიჩქაროდა, ნიფლის ხიდან ხმამალალი ლაპარაკი რომ შემოესმა. ნიბლია ჩიტი ბუდეში მოკალათებულ გუგულს ერხუბებოდა:

– ჩემი ბუდიდან ნადი და სადაც გინდა, კვერცხი იქ დადე! არა გრცხვენია? ბარტყებს სხვებს რატომ აზრდევინებ?

გუგულმა ბუდე უხალისოდ დატოვა და რცხილაზე გადაფრინდა. კოსტა ხესთან მივიდა და გუგულს უთხრა:

– კვერცხი მომეცი.

– რას ამბობ, როგორ განდო კვერცხი?

– შესაჭმელად არ მინდა, ბარტყს გამოვჩეკავ და გავზრდი.

– შენ გამოჩეკავ?! – გაიცინა გუგულმა, – როდის იყო, ხვლიკი ბარტყებს ჩეკავდა.

– კვერცხი მომეცი და გამოჩეკა ჩემზე იყოს.

– კარგი. კვერცხს შენს ფულუროში დავდე, მაგრამ თუ კვერცხს გაა-ლაყებ, იცოდე, თავს გაგილაყებ.

– დარდი ნუ გაქვს, აუცილებლად გამოვჩეკავ! – დააიმედა ხვლიკმა.

– ბალახბულახი მოკრიფე, ფულუროში ჩავაფინოთ, – უთხრა გუგულმა.

– ახლავე!

გუგული კოსტას ფულუროში შეფრინდა. ბალახბულახის შეგროვებაში კოსტას კურდღელი თებროც დაეხმარა. კოსტა ფულუროში რომ შევიდა, კვერცხი დადებული დახვდა.

– ყოჩაღ, ისეთი მონდომებული ხარ, ბარტყს მართლაც გამოჩეკავ. იცოდე, აუცილებლად მოგაკითხავ, – უთხრა გუგულმა და გაფრინდა.

კოსტა ბუ ბუბოსთან გაიქცა.

– ბუბო, ხვლიკები ბარტყებს რატომ ვერ ჩეკავენ?

– კოსტა, ხვლიკი ცივისსხლიანი ცხოველია, ამიტომ ბარტყის გამოსაჩეკად ჯერ მზეზე უნდა გათბე და კვერცხს მერე მოეხვიო.

კოსტა ფულუროში დაბრუნდა, ტოტზე პირალმა განვა, მწველი მზის სხივებით კარგად გათბა და კვერცხი სიყვარულით ჩაიკრა გულში. ხვლიკი ხშირ-ხშირად გამოდიოდა და თბებოდა. მზე რომ ჩავიდა, კოსტა შეშინდა, მზის ამოსვლამდე კვერცხს ველარ გავათბობო და ციყვ თეკოს მიადგა. თეკომ უარი ვერ უთხრა და ფუმფულა ბენვით მთელი ღამე კვერცხს ათბობდა.

ღრუბლიანი დილა გა-
თენდა, მზე არსად ჩანდა.
კოსტამ კვერცხთან თეკო
დატოვა, თვითონ გაიქცა
და ვისაც კი კვერცხის გათ-
ბობა შეეძლო, ყველანი ნაძ-
ვთან შეკრიბა: თავუნა ცუცა,
კურდღელი თებრო, კოდალა
კაკუ, ბუ ბუბო, მაჩვი მანუ-
ჩარი, ყვავი ყვანჩიტო. მეგო-
ბრები კვერცხს მორიგეობით
ათბობდნენ, მზიან დღეებში
კი კოსტა კვერცხს არავის ან-
ებებდა.



და აი, დადგა ნანატრი დღე, რომელსაც კოსტა ორი კვირა სულმოუთქმე-
ლად ელოდა. ბარტყმა კვერცხი მაშინ გამოტეხა, როდესაც ხვლიკი მზეზე გათ-
ბა და ფულუროში დაბრუნდა. შეუბუმბლავი, უსუსური ბარტყის დანახვაზე
ხვლიკმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

– იხვის ჭუჭულებმა გამოჩეკვისთანავე გაიარეს, ეს კი როგორი ულამაზო
და უღონოა.

– ჭიაღუები არ უნდა მოვაკლოთ, – თქვა ფულუროსთან ჩამომჯდარმა
ბუბომ.

ვისაც კი ჭიაღუების პოვნა შეეძლო, მთელი დღე ტყეში დარბოდა. ყველაზე
მეტს, რა თქმა უნდა, კოსტა ცდილობდა და სიქაგაცლილს დილამდე გაუნძრე-
ვლად ეძინა. ბარტყი სწრაფად შეიბუმბლა და მალე ფრენაც დაიწყო. ხვლიკმა
ბარტყს გუგაშა დაარქვა.

ერთ დღეს გუგულის დედა მოფრინდა, ბარტყს დახედა და ღიმილით უთხრა:

– მე შენი დედა ვარ!

– არა, ჩემი დედიკო კოსტაა, – განწყრა გუგაშა და ხვლიკს ჩაეხუტა.

ზაფხული მიიღია და დადგა დრო, გუგულებს ტყე რომ უნდა დაეტოვე-
ბინათ და მომავალი წლის გაზაფხულამდე თბილ ქვეყნებში გაფრენილიყვნენ.
გუგულმა კოსტა შეაქო:

– ჩემდა გასაკვირად, ბარტყიც გამოჩეკე და კარგი ბიჭიც გაზარდე. გაზაფ-
ხულზე რომ დავბრუნდები, გადანყვეტილი მაქვს, ყველა კვერცხი შენს ფულუ-
როში დავდო.

– რა?! ყველა ბარტყი ჩვენ უნდა გამოვჩეკოთ და გავზარდოთ?! – ერთხმად

აღმოხდათ გუგაშას გასაცილებლად შეკრებილ მეგობრებს.

კოსტამ მზერა მოავლო სასონარკვეთილებს და ღიმილით იკითხა:

– განა გუგაშასნაირი გუგულების გამოჩეკა და გაზრდა ნვალებად არ ღირს? ხმას არავინ იღებდა.

გუგაშა დედობილ-მამობილებს სიყვარულით გადაეხვია და სხვა გუგულებთან ერთად თბილი ქვეყნებისკენ გაფრინდა გამოსაზამთრებლად.

– გუგაშა ბოლოში მიფრინავს! – დანანებით დაიძახა კურდღელმა.

– შეხედეთ, გუგაშა სხვებზე სწრაფად გაფრინდა! – ყვიროდა თავუნა.

– გუგაშა გუგულების გუნდს თავში მოექცა! – შესძახა თეკომ.

– გუგაშა ძალიან ლამაზია! – მაჩვმა მანუჩარმა მზის სათვალე მოიხსნა.

– ჩვენი გუგაშა ყველაზე მოხერხებულია! – შეჰყვირა ზღარბმა.

– გუგაშა ძალიან ყოჩაღია! – დაიყრანტალა ყვანჩიტომ.

– გუგაშ, გელოდებით! – შესძახა კოსტამ და თვალზე მომდგარი ცრემლი ჩუმად შეიმშრალა.



ხვლიანი ჯოსბა და პოლიციის ქალი

კოსტა ქალაში გარეული გოჭების სანახავად მიიჩქაროდა. გოჭებს სხეულზე მოყვითალო ზოლები გასდევდათ. სულ თორმეტნი იყვნენ. კოსტა დედალორს – ღრუტოს დაუმეგობრდა და გოჭების გაზრდაში ეხმარებოდა.

გზად, ქალის პირას სამ კაცს მოჰკრა თვალი, რომლებიც რალაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ხაფანგში გაბმული დედა ღორი ქყოდა, თავის დახსნას ცდილობდა, დაფეთებული აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. წითურმა კაცმა დედალორს თავზე ტომარა ჩამოაცვა და სატვირთო მანქანისკენ გაჭირვებით წაათრია. თეთრკეპიანმა და მხარზე თოფგადაკიდებულმა ჩასუქებულმა კაცმა აჭყვიტინებული გოჭები დაიჭირეს, ორ ტომარაში ჩასვეს, ტომრებს პირი მოუკრეს და ძარაზე აიტანეს.

კაცები სატვირთო მანქანის კაბინაში სწრაფად ახტნენ. მანქანა მაშინვე ათუხთუხდა. კოსტა ბურჩებიდან გამოვარდა და ძარაზე აცოცდა. ხვლიკი ირგვლივ დაკვირვებით იყურებოდა და ცდილობდა, ყველაფერი კარგად დემახსოვრებინა. ერთხანს ოღროჩოღრო გზაზე მიჯაყყაყებდნენ, იქაურობა მტვერსა და ბუღში გაეხვია. მერე მოასფალტებულ გზაზე იარეს, პატარა ქალაქში შევიდნენ და მანქანა ქვით მოკირწყლული აღმართის ბოლოს მომწვანო ალაყაფის ჭიშკარში შეიმალა. წითურმა ჭიშკარი უმალ მიხურა. კოსტა ძარადან ჩამოძვრა, ეზო გადაირბინა და თავი ხის ფარდულს შეაფარა.

– შეხედეთ! ზუსტად ასეთი ხვლიკი ტყეში შევნიშნე! – იყვირა წითურმა. – აქ საიდან გაჩნდა?!

– ხვლიკების გემინია? – ჩაეცინა კეპიანს და წითურს მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი.

კაცებმა ღრუტო სახლის სარდაფში ჩაათრიეს, გოჭებიანი ტომრებიც სარდაფში ჩაყარეს.

ხვლიკმა ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე ჩაირბინა და მოასფალტებულ გზაზე გავიდა. მერე ნიას სოფლისკენ გადაუხვია და გოგონას სახლის ფანჯარაზე აძვრა. რაფაზე მოლაპარაკე თუთიყუშის გალია იდგა.

– ჟაკო, ნია სახლშია? – ჰკითხა კოსტამ.

– სადღაც ნავიდა, – უპასუხა ჟაკომ.

ხვლიკმა თუთიყუშს ყველაფერი უამბო.

– ასეთ დროს ადამიანები პოლიციაში მიდიან, – დაარია ჟაკომ.

– პოლიციაში? – გაიკვირვა კოსტამ.



– პოლიციელები წესრიგს იცავენ და ბრაკონიერებსაც დაიჭერენ.

– ბრაკონიერებს?

– ბრაკონიერებს იმ ადამიანებს ეძახიან, რომლებიც აკრძალულ ადგილებში ნადირობენ, ცხოველებსა და ფრინველებს კლავენ და იჭერენ.

– ადამიანურ ენაზე ლაპარაკი არ ვიცი, პოლიციელებს ვერაფერს გავაგებინებ. დამეხმარები? – შეეხვეწა კოსტა.

– დაგეხმარები.

მორიგე პოლიციელებმა თუთიყუშის ნათქვამი არ დაიჯერეს. ხვლიკს კი გაკვირვებით დასცქეროდნენ.

– აქ რა ხდება! – მკაცრად იკითხა შენობაში შემოსულმა პოლიციის უფროსმა.

– თავი ზღაპარში გვგონია! ეს თუთიყუში გვიმტკიცებს, რომ ხვლიკი ბრაკონიერებს უთვალთვალებდა, რომლებმაც ტყიდან გოჭები და დედა ღორი გაიტაცეს და სარდაფში ჩაკეტეს.

– კარგად დაიმახსოვრეთ! ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თუნდაც დაუჯერებელმა ცნობამ შეიძლება დამნაშავე დაგვაჭერინოს, – დამრიგებლური ტონით თქვა პოლიციის უფროსმა.

კოსტა და ჟაკო პოლიციის მანქანაში მოკალათდნენ. მალე მანქანა სირენების გამაყრუებელი ხმით მწვანე ჭიშკარს მიადგა.

როდესაც პოლიციის მანქანიდან კოსტამ ისკუბა, წითურთმიანი მთლად განითლდა:

– ნამდვილად ის ხვლიკია. ეს ამბავი არ მომწონს!

პოლიციელებმა სახლის სარდაფიდან გოჭები და ღრუტო ამოიყვანეს.

ამ ამბიდან სამი დღე იყო გასული, კოსტამ ფულუროდან სოფელს რომ გახედა. ტყის პირას, ფერდობის ძირში პოლიციის მანქანა გაჩერდა, საიდანაც სამი პოლიციელი და გოგონა ნია გადმოვიდნენ. ისინი ტყისკენ გამოემართნენ. ნიას მხარზე თუთიყუში ჟაკო ეჯდა.

კოსტა და ციყვი თეკო ნაძვიდან ჩამოცოცდნენ. კურდღელმა თებრომაც მოირბინა. ყვავი ყვანჩიტო და კოდალა კაკუ ხიდან გაკვირვებულები იყურებოდნენ. მომღიმარი პოლიციელები და გოგონა ნია მეგობრებს მიუახლოვდნენ. პოლიციის უფროსმა ხელი ქუდთან მიიტანა.

– ბრაკონიერების შეპყრობისათვის ხვლიკ კოსტას საჩუქრად გადაეცემა პოლიციელის ქუდი და ტკბილეული, – პოლიციელმა სპეციალურად კოსტასთვის შეკერილი ქუდი ხვლიკს თავზე დაახურა.

კოსტა უკანა ფეხებზე ამაყად შედგა, წელში გაიმართა და პოლიციელივით ხელი ქუდთან მიიტანა.

– როგორ უხდება ქუდი, – თეკომ ტაში შემოჰკრა.

ხვლიკმა ტკბილეულს ხელი დასტაცა და ჭალისკენ მოკურცხლა. კოსტა დარწმუნებული იყო, გოჭებს ტკბილეული ძალიან მოეწონებოდათ.



ხვლიჩი ჟოსტა და მაჩვი მანუჩარის დაბადების დღე

– შენი დაბადების დღე როდისაა? – ჰკითხა კურდღელმა თებრომ ხვლიკს.
– არ ვიცი! – კოსტამ მხრები აიჩეჩა.
– არც მე ვიცი! – თებრომ თავი დანანებით გაიქნია.
– არც მე! – უკმაყოფილოდ თქვა ციყვმა თეკომ.
დანარჩენებმაც, უარის ნიშნად, ხელები გაასავსავეს.
– კოსტა, მოდი, დღეს შენი დაბადების დღე იყოს, – ხვლიკის დაყოლიება სცადა ბუ ბუბომ.

– კარგი, – მაშინვე დაეთანხმა კოსტა.
– დაბადების დღეზე ადამიანები ერთმანეთს საჩუქრებს ჩუქნიან, – ხმა-მალლა თქვა ბუბომ.

საჩუქრის ხსენებაზე მანუჩარს სახე გაებადრა და ხვლიკს ხვეწნით უთხრა:
– კოსტა, ჩემი დაბადების დღე იყოს, რა!
– კარგი, ასე იყოს... – გაელიმა კოსტას.
– დღეს ჩემი დაბადების დღეა, კარგ საჩუქრებს ველოდები, საღამოს კაკ-ლის ხესთან მოიტანეთ! – ბრძანა მანუჩარმა.

ტყის ბინადრებს საფიქრალი გაუჩნდათ, – მზის ჩასვლამდე მანუჩარისთვის საჩუქრები უნდა მიერთმიათ.

თეკომ ნამცხვრის გამოცხოვა გადანწყვიტა. თებროს ტყისპირა ბილიკზე ნაპოვნი ტყავის საფულე გაახსენდა. თავუნა ცუცამ ფერდობზე, სადაც ბავშვები თამაშობენ, ახლახან ბრჭყვიალა თმის სარჭს მოჰკრა თვალი. ბუბოს დიდი ხნის წინ გადანახული ყვავილებიანი ცხვირსახოცი გაახსენდა. ყვავი ყვანჩიტო გადამალული ბეჭდის მოსატანად გაფრინდა. ბაყაყმა ბაყიტომ გადანწყვიტა, ნაკადულთან ლამაზი კენჭი ეპოვა. კოდალა კაკუმ დიდი მატლის ამოსაყვანად ხეს ჩაუკაკუნა. კუ კუკურიმ ულამაზესი მინდვრის ყვავილი მოწყვიტა. ზღარბმა ბაბალემ ქრელი პეპელა დაიჭირა. კოსტამ ლამის მთელი ტყე შემოიბრინა, მაგრამ მანუჩარისთვის შესაფერის საჩუქარს ვერსად მიაგნო.

მანუჩარს კაკლის ხესთან, კუნძზე, მონონებული საჩუქრები დაელაგებინა: ტყავის საფულე, ბრჭყვიალა თმის სარჭი, ყვავილებიანი ცხვირსახოცი, ბეჭედი. მაჩვს მინაზე მოესროლა: კენჭი, მინდვრის ყვავილი და მსუქანი მატლი, რომელიც ხისკენ მიცოცავდა. ბაბალეს პეპელაც სადღაც მიფარფატებდა.

კაკლის ხესთან უხასიათოდ მომავალი ხვლიკი გამოჩნდა.

– კოსტა, სად ხარ აქამდე? – მანუჩარი ხვლიკს ხელებში მიაჩერდა. კოსტამ ჩამავალ, ლამაზად შენითლებულ მზეს მოჰკრა თვალი, სახე გაეზადრა და მაჩვს მიუგო:

– მანუჩარ, ჩემთვის ყველაზე ძვირფას განძს, მზეს გრუქნი!

– რაო?! ეგ რანაირი საჩუქარია? ვერც შეეხები, ვერც შეჭამ. თანაც, სადაცაა, მზე ჩავა და საჩუქარიც გაქრება, – განყრა მანუჩარი.

უცებ სინით ხელში თეკომ მოირბინა.

– დაბადების დღეს გილოცავ! – უთხრა თეკომ და მაჩვს ნამცხვარი მიართვა.

– აუ, რა მაგარი საჩუქარია, – ესიამოვნა მაჩვს, – ღამდება, სოროში ნავალ, დავისვენებ. – მანუჩარმა კუნდიდან საჩუქრები წამოკრიფა და სინს ხელი დაავლო.

– მანუჩარ, სად მიდიხარ?! – დაუძახა ბუბომ, – სტუმრებს არ უნდა გაუმასპინძლდე? მოდი, თეკოს ნამცხვარი დავაგემოვნოთ.

– მასპინძლობაზე არაფერი გითქვამს. ჩემი ნამცხვარი ყველამ თუ შეჭამა, მე რალა დამრჩება? – მანუჩარი ნამცხვარს ხარბად დაჰყურებდა.

– დაბადების დღეზე დრო მხიარულად უნდა გაატარო: იხუმრო, ითამაშო, იცეკვო. სასუსნავითაც ყველას უნდა გაუმასპინძლდე. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რას გაჩუქებენ, მთავარია, გულთ იყოს მორთმეული, – აღნიშნა ბუბომ.

– როგორც ჩანს, სხვა გზა არაა, – მანუჩარმა ბრაზნარევი ხმით ჩაილაპარაკა, თავი სინანულით გაიქნია და ნამცხვარი ყველას უწილადა.



უცებ ფოთლებში მიმალულმა სავსე მთვარემ გამოანათა.

– მანუჩარ, მთვარესაც გჩუქნი, – თქვა კოსტამ.

ცოტა ხანში ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ.

– მანუჩარ, მე ვარსკვლავები მიჩუქებია, – თქვა ბაბალემ.

– მანუჩარ, მოჩუხჩუხე ნაკადულს გჩუქნი, – თქვა ბაყიტომ.

– მე კი ნიფლის ხე მომირთმევია, – თქვა კაკუმ.

– მანუჩარ, როცა წვიმა წამოვა, იმ წვიმის წვეთები ჩემი საჩუქარი იყოს, – თქვა თეკომ.

– პირველი თოვლი რომ მოვა, მე იმ თოვლის ფიფქებს გჩუქნი, – თქვა თებრომ.

– შემოდგომაზე ხეებს ფერადი ფოთლები რომ დაცვივა, მე იმ ფერებს გჩუქნი, – თქვა ცუცამ.

– ნიავი რომ სასიამოვნოდ დაჰბერავს, ის ნიავი მიჩუქებია, – თქვა ყვანჩიტომ.

– მანუჩარ, მე კი მეგობრების იმ სიყვარულს გჩუქნი, რომელიც ცხოვრებას გვილამაზებს, – თქვა კოსტამ.

– საჩუქარს მართლაც არ ჰქონია მნიშვნელობა. თქვენმა გულწრფელმა სიტყვებმა სული გამითბო. ეს დღე არასოდეს დამავინწყდება, – თვალზე ცრემლმორეული მანუჩარი ყველას სათითაოდ გადაეხვია.

სავსე მთვარით განათებულ ტყეში დიდხანს ისმოდა მეგობრების მხიარული ხმები.



ხვლიკი კოსტა და ვირთაგვა ვახტო

დილაადრიან ყვავი ყვანჩიტო კოსტას ფულუროსთან ჩამოჯდა.

– კოსტა, ქალაქში წამომყვები? დიდი ხანია ჩემი ძმა არ მინახავს. მოვინახულებ, მოვესიყვარულები, მეორე დღეს კი უკან დავბრუნდებით, – ხვეწნით უთხრა ყვანჩიტომ.

– სიამოვნებით, ქალაქი არასოდეს მინახავს, – კოსტა ყვავის თხოვნას მაშინვე დაყაბულდა.

ყვანჩიტომ ხვლიკი ზურგზე შეისვა და ქალაქისაკენ გაფრინდნენ. ყვავი სულის მოსათქმელად ხან ხის კენწეროზე ჩამოჯდა, ხან ელექტროგადამცემ ანძაზე შეისვენა, ხანაც მაღალი სახლის სახურავზე და შუადღისით დიდ პარკში დაეშვნენ. პარკში მრავლად იყო სხვადასხვა ჯიშის ხე, თავბრუდამხვევი ატრაქციონები და შადრევნები.

– ჩემი ძმა ეშმაკის ბორბალთან, მაღალ ქაღარზე ცხოვრობს. პარკში კეთილ ადამიანებთან ერთად ბოროტი ადამიანებიც დადიან, ამიტომ ბილიკზე სიარულს მოერიდე... კიდევ ძაღლებსა და კატებს, – ყვანჩიტომ კოსტას ნისკარტი დაავლო და ის იყო უნდა გაფრენილიყო, რომ ჩახლეჩილი ხმა გაისმა:

– ყვანჩიტო, ძმაო, შენ ხარ? თვალებს არ ვუჯერებ. როგორ მომენატრე!

– ბუხა! – დაიჩხავლა ყვანჩიტომ და ძმას გადაეხვია.

– ეს ჩემი მეგობარი კოსტაა! – ყვანჩიტომ ძმას ხვლიკი გააცნო.

ძმები საუბარში გაერთნენ. კოსტა მუსიკის ხმაზე მოცეკვავე შადრევნისაკენ წავიდა. ხვლიკი ადამიანების გამოჩენისას ლამაზად გაკრეჭილ ბურქებს, სასმელი წყლის სოკოებსა და ნაგვის ურნებს ეფარებოდა. ერთ ატრაქციონზე ფერადი ვაგონები რელსებზე აღმა-დაღმა სწრაფად დასრიალებდნენ. ხვლიკი გაჩერებულ ვაგონში აცოცდა. მას გოგო და ბიჭი სიცილ-კისკისით შეჰყვნიენ. კოსტა სკამის ქვეშ შეიმალა. ვაგონი დაიძრა. კოსტამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ზევით ამოცოცდა. ბავშვებმა ხვლიკს ამრეზით დახედეს. ვაგონმა სიჩქარე სწრაფად აკრიფა, დამფრთხალმა ხვლიკმა ბიჭისკენ ისკუპა და მაისურზე ჩაეჭიდა. ბავშვებმა წივილ-კივილი ატეხეს. გაჩერებული ვაგონიდან კოსტა ძირს ჩამოხტა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და ფეხებს ვერ იმორჩილებდა. ის იყო ბავშვების მამას ხვლიკისთვის ქუდი უნდა დაეფარებინა, რომ რუხმა ვირთაგვამ პირი დასტაცა და სამშვიდობოს გაიყვანა.



– ვირთაგვა ვახტო! – ამაყად თქვა ვირთაგვამ.

– ხვლიკი კოსტა, – ენის ბორძიკით წარმოთქვა შეშინებულმა ხვლიკმა.

– აქამდე არსად შემომჩნევიხარ.

– აქედან შორს, ტყეში ვცხოვრობ. ჩემი მეგობარი ყვავი ყვანჩიტო ძმის სანახავად ჩამოფრინდა, მეც წამომიყვანა. მის ძმას ბუხა ჰქვია.

– ბუხას ვიცნობ. ტყეში არასოდეს ვყოფილვარ. მე მეტროს გვირაბში დავიბადე, მაგრამ იქაურობა არ მომეწონა. ქალაქში მინის ზემოთ ცხოვრება ვირთაგვებისთვის სახიფათოა, სამაგიეროდ, აქ ბევრი საჭმელი და გასართობია. განსაკუთრებით ცირკი მიყვარს. გინდა, ცირკში წავიდეთ? – ჰკითხა ვახტომ.

– წავიდეთ!

– არ ჩამომჩე! – გააფრთხილა ვირთაგვამ.

ფართო ქუჩებში უცნაური ავტომობილები დაქროდნენ. მათ მრგვალ, გუმბათიან შენობასთან მიიბრინეს, საწვიმარ მილზე აძვრნენ, სახურავიდან ცირკში შევიდნენ და პროჟექტორებთან მოიკალათეს. წარმოდგენა დაიწყო. კოსტას ყველაზე მეტად სასაცილო ადამიანები – ჯამბაზები და განვრთნილი დათვების ცეკვა მოეწონა.

– არ მოგვივლა? წავიდეთ, ვივანშმოთ, – ვახტომ მეზობელ შენობასთან

მიიღბინა. კოსტაც კვალდაკვალ მიჰყვა.

– ძმაო, აქ საუცხოო კერძებს ამზადებენ! – ვახტომ ნერწყვი გადაყლაპა.

ვირთაგვას მჭრელი კბილებით გამოთხრილი ხვრელით სამზარეულოს მიადგნენ, სადაც შინდისფერნინსაფრიანი ადამიანები გემრიელ კერძებს აკეთებდნენ. ირგვლივ მადისალმძვრელი სურნელი ტრიალებდა.

– სოროში დამელოდე, – ვახტო სამზარეულოში გავიდა და მალევე შემწვარი ხორცის ნაჭრით დაბრუნდა, მეორედ კი ლამაზად გაფორმებული ნამცხვარი მოარბენინა.

– ვახტო, საჭმელს იპარავ?

– არა კოსტა, აქ ისეთ ნოყიერ კერძებს ამზადებენ, რესტორანში შემოსულ ადამიანებს ბოლომდე შეჭმა უჭირთ და უამრავი საჭმელი ნაგავში იყრება.

ვახტო მესამედ რომ გავიდა, ვიღაცამ შუშის ქილა ჩამოაცვა. ქილა წყლით გაავსეს, სახურავი მჭიდროდ დაახურეს და სამზარეულოს კუთხეში მიდგეს.

– სოროს შესასვლელი რამდენჯერაც ამოვქოლეთ, იმდენჯერ გამოლრდნა. დაიხრჩობა და გადავაგდოთ, – მზარეულებმა კერძების მომზადება განაგრძეს.

ხვლიკმა შუშის ქილასთან მიიღბინა, მიანვა, გადააყირავა და თავსახურს მთელი ძალით დაეჭიდა. ქილას თავსახური მოძვრა და წყალთან ერთად ქილიდან ვახტოც გამოსრიალდა.

– რა ხდება? ფეხები დამისველდა! – იყვირა ერთ-ერთმა მზარეულმა.

კოსტამ და ვირთაგვამ სოროში ღურთეს თავი.

– რაკი ცოცხლები გადავრჩით, ერთი კარგად მოვუღებინოთ, – გაიღიმა ვახტომ და მოშიებულებმა შემწვარი ხორცი და ნამცხვარი სულმოუთქმელად გადასანსლეს.

– ციყვი თეკო ამაზე უფრო გემრიელ ნამცხვარს აცხობს. თეკო ჩემი მეგობარია, – კოსტას ხმაში მონატრება იგრძნობოდა.

გარეთ უკვე დაღამებულიყო და ვირთაგვამ და ხვლიკმა ლამაზად განათებულ უზარმაზარი ეშმაკის ბორბალისაკენ მოკურცხლეს.

– კოსტა, ამდენ ხანს სად იყავი? ძალიან ვიდარდეთ, – უსაყვედურა ყვანჩიტომ.

– გრძელი ამბავია, სხვა დროს მოგიყვები.

კოსტამ და ვახტომ ის ღამე ჭადრის ტოტზე გაათიეს.

– შენსავით ერთგულ მეგობარს სულ ვნატრობდი, – დილითღა უთხრა

ვახტომ ხვლიკს და თავი მორცხვად დახარა.

– ჩვენ უკვე მეგობრები ვართ. თეკოს ნამცხვარსაც ერთად დავაგემოვნებთ, – გაიღიმა კოსტამ და ვირთაგვას ძმურად გადაეხვია.

ყვანჩიტომ ხვლიკი ზურგზე შეისვა და ქალაქის პარკიდან მშობლიური ტყისკენ გაფრინდნენ. ვირთაგვა ახალშექნილ მეგობარს თვალცრემლიანი გაჰყურებდა.

– ვახტო, გული არ გაიტეხო, კოსტას და ტყეს აუცილებლად ვინახულებთ, – დარწმუნებით თქვა ბუხამ და ვირთაგვას გასამხნეველად ფრთა მოუთათუნა.



ხვლიჩი ჟოსტა და მგლის ლაჩვი

ზაფხულის მწველი მზე ისე ვარვარებდა, თვალის გახელა ჭირდა. კოსტა კუ კუკურის მაცვლის ბუჩქებთან ბოსტნის გაკეთებაში მიეხმარა, სალამოთი შინ დაბრუნებულს კი ნიფლის ხესთან ნკმუტუნი შემოესმა. ხესთან ლეკვი იჯდა.

– რატომ ტირი? – დაინტერესდა კოსტა.

– დავიკარგე. ჩემი ბუნაგი კლდის ძირას, გამოქვაბულშია, – ლეკვმა თავი ჩაქინდრა. – დედასთა მინდა.

– გამოქვაბულში? ძაღლები ხომ ადამიანებთან ცხოვრობთ? – გაოცდა კოსტა.

– ძაღლები?! მე მგელი ვარ! – ლეკვი უცებ გაამაყდა და თათით ცრემლი მოიწმინდა.

– რა გქვია?

– ტაგო.

– ამაღამ აქ დარჩი, დილით კი კლდესთან მიგიყვან, – ანუგეშა კოსტამ.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, გრილმა სიომ დაქროლა, ყვითელგულა გვირილას ულამაზესი პეპელა მოსწყდა და ჰაერში აფარფატდა. კურდღელმა თებრომ პეპელას აღტაცებული მზერა შეავლო და ნორჩი ბალახი სიამოვნებით დააგემოვნა.

– თებრო, აქ მოდი! – კოსტამ კურდღელს დაუძახა.

თებრომ კოსტასთან მიიღბინა და ნიფლის ხესთან ატუზულ ლეკვს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

– რა საყვარელი ცუგაა, – გაიღიმა თებრომ და გრძელი ყურები დაცქვიტა.

– ცუგა კი არა, მგელი ვარ, მგელი! – დაიღრინა ტაგომ.

მგლის ხსენებაზე დამფრთხალმა კურდღელმა ნაძვთან მიიღბინა, სუროს კიბეს სწრაფად აუყვა, ციყვის ფულუროს კარი გამოგლიჯა, შიგ გაჭირვებით შეეკვება და თეკო ლამის მერქნის კედელს მიაჭყლიტა.

– ველარ ვსუნთქავ, გარეთ მინდა! – ძლივს ამოღერდა ციყვმა.

– მგელი შეგვჭამს!

– მგლებმა ხეზე ცოცვა არ იციან, – თეკო კურდღლის დამშვიდებას შეეცადა, – გამატარე, სული მეხუთება!

თებრო ფულუროდან გამოვიდა და გათავისუფლებულმა ციყვმა ტოტზე ისკუბა.

– მგლები საუკეთესო მშობლები არიან, შვილს აუცილებლად მოაგნებენ. გაავებული მგელი ძალიან სახიფათოა, ამიტომ მათ მოსვლამდე ლეკვი კლდეებთან უნდა მივიყვანოთ, – თქვა ბუ ბუბომ.

– მე გზა არ ვიცი. ვინ წამომყვება? – კოსტა უკანა ფეხებზე შედგა და ირგვლივ მიმოიხედა.

– კლდეებთან ბევრჯერ ვყოფილვარ, გზას მე გიჩვენებ! – დაიჩხავლა ყვანჩიტომ.

– მეც თქვენთან ერთად წამოვალ, – თქვა თეკომ, ლეკვთან მიირბინა და თავზე თათი გადაუსვა.

– მერე ამაღამ ტაგოსთან ვინ დარჩება? – იკითხა ზღარბმა.

– ყველაზე ფუმფულა ბენვი კურდღლებს აქვთ, ლეკვს თებრო დააძინებს,



– დაასკვნა ბუბომ.

– არა, მგელთან არ დავრჩები, – იუარა თებრომ.

– მართლაც ფაფუკი ბენვი გაქვს, თავს მოგადებს და სწრაფად ჩაეძინება. მეც თქვენთან ვიქნები, – გაამხნევა კურდღელი კოსტამ.

– არც მე მიგატოვებ, – თეკო კურდღელს გვერდით ამოუდგა.

– მეც აქ ვიქნები, – თქვა ბაბალემ.

– არც მე წავალ, – ბუმ თვალევი დააბრიალა.

– თებროსთან მინდა! – დაიყმუვლა ტაგომ.

მეგობრებმა კურდღელი ძიძობაზე ძლივს დაიყოლიეს.

დალამდა. ტაგომ დრუნჩი კურდღელს სახესთან მიუტანა, ალოკა, თავი მუცელზე დაადო და ტკბილად ჩაეძინა. თებრო ლეკვს ახლა სიყვარულით დასცქეროდა. ცაზე კუდიანმა ვარსკვლავმა ჩაიქროლა.

– სად ქრებიან ჩამოვარდნილი ვარსკვლავები? – იკითხა თეკომ.

– არა, ეგ ციური სხეულებია, ვარსკვლავები კი არა; მათ მეტეორებს უწოდებენ. მეტეორები ღამის ცაზე უეცრად ჩნდებიან, ძალიან სწრაფად ვარდებიან, ინვიან და უკვალოდ ქრებიან, – გასაგები ენით ახსნა ბრძენმა ბუბომ.

მეგობრებმა დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს ყველას თვალევი მიელულა და ჩასთვლიდა.

ირიჟრაჟა თუ არა, თებრომ ტუჩები ააცმაცუნა, თვალი გაახილა და უზარმაზარი, რუხი მგლის დანახვაზე შიშისგან აკანკალდა. კურდღელმა გაქცევა დააპირა, შებრუნდა, მაგრამ იქაც მგელი დახვდა.

– თებრო, ნუ გეშინია, ეგ მგლები მოშორებით იყვნენ, მე და თეკომ დავინახეთ და ტაგოსთან მოვიყვანეთ, – კოსტა გაფითრებულ კურდღელს წინ აესვეტა.

– თებრო, ტაგოს ძალიან მოეწონე. ყველას კლდის გამოქვაბულში გელოდებით, – დედა მგელმა ახალგაჯნობილები შინ მიიპატიჟა.

– თუკი რამე გაგიჭირდათ, მაშინვე შემატყობინეთ, – თქვა მამა მგელმა.

ტაგომ ჯერ თებრო ალოკა, მერე კოსტას აუსვა ენა, თეკოს ფუმფულა კუდაც გაეთამაშა და მშობლებთან ერთად უღრანი ტყისკენ გასწავა.

მაღე ზაფხულის ცაზე ნანატრი, პატარ-პატარა ღრუბლები გამოჩნდნენ.

– ნახე თებრო, ის ღრუბელი ტაგოს ჰგავს, – წამოიძახა კოსტამ.

– აგერ, იმ ღრუბელს კი შენსავით წვრილი კუდი აქვს, – გაიცინა თებრომ.

– თებრო, ეს ღრუბელი კი შენსავით ფუმფულაა, ყურებიც ამოეზარდა, – ხელი ცისკენ აიშვირა თეკომ.

- აი, ის ღრუბელი კი ზღარბივით ჩხვლეტიაა! ის კი თაგუნა ცუცას ჰგავს! ის - ბაყაყ ბაყიტოს! ის კი ბუბოსავითაა! აი, კუ კუკურიც დაიხატა ცაზე! ყვანჩიტოც! - მეგობრების ხმამაღალი სიცილი მგლებსაც ესმოდათ და ტყის ბილიკს ხალისით მიუყვებოდნენ.



ხვლიჩი ჟოსტა და მწვანე ქოლგა

დილით, ინათა თუ არა, დაიგრუხუნა და წვიმა წამოვიდა. ფერდობზე ქარი ხასხასა მწვანე ფერის ვეებერთელა სოკოს მოაგორებდა, ხანაც მოაფრიალებდა. კოსტამ უცნაურ სოკოს ფულუროდან მოჰკრა თვალი, ხიდან ჩაცოცდა და ფერდობისკენ წავიდა. უზარმაზარი სოკო პირდაპირ მისკენ მოფრინავდა. დამფრთხალი კოსტა უკან გაიქცა, მაგრამ სოკო არ ეშვებოდა, ხვლიკი წიფლის ხესთან მიიმწყვდია და ქუდივით გადაეფარა. კოსტა გაიტრუნა, მერე სოკო შეათვალიერა, ხელითაც შეეხო – წვრილ ჩხირებზე მწვანე ნაჭერი მომრგვალოდ გადაეჭიმათ.

– არა, ეს სოკო არ უნდა იყოს, – დაეჭვებით ჩაილაპარაკა კოსტამ.

ამ დროს ზღარბი ბაბაღე თავდახრილი მიიჩქაროდა სადღაც.

– ბაბაღე! — შესძახა ხვლიკმა.

ზღარბმა აქეთ-იქით მიმოიხედა და გიგანტური სოკოს დანახვაზე გაკვირვება ვერ დამალა:

– რამხელა სოკოა!

– არა, სოკო არ არის, – დარწმუნებით თქვა კოსტამ.

– აბა? – ზღარბმა ხვლიკთან მიიბრინა.

– ფერდობზე მოგორავდა, მერე ზედ გადამეფარა. – გაიხსენა კოსტამ.

თაგუნა ცუცა და ბაყაყი ბაყიტო უშველებელი სოკოს დანახვისას წამიერად გაშეშდნენ.

– აქ მოდით! – დაუძახა ხვლიკმა.

– კოსტა, წვიმამ თავი მოგვაბეზრა და გასართობად შენთან მოვდიოდით, – უთხრა ცუცამ.

ხასხასა მწვანე სოკო ციყვმა თეკომ ნაძვიდან შეამჩნია. ძირს ჩამოხტა, სოკოსთან წიფლის მხრიდან მიიბრინა და ჩუმად შეიჭყიტა.

– ვაი! – შეჰყვირა ციყვის უეცარი გამოჩენით დამფრთხალმა ცუცამ.

მერე კი ერთმანეთის მიყოლებით მოვიდნენ კურდღელი თებრო, ყვავი ყვანჩიტო, კოდალა კაკუ და კუ კუკურნი.

მაღე წვიმამ გადაილო და მზემ გამოანათა. ტყის ბინადრები ბუს გამოჩინას აღფრთოვანებით შეეგებნენ.

– ეს ქოლგაა! – მოფრენისთანავე თქვა ბუ ბუბომ. – როცა წვიმს ან მცხუნვარე მზეა, ადამიანები ქოლგას ეფარებიან. თუკი არ წვიმს, ქოლგა დაკეცილი დააქვთ, რადგან დაკეცილი ქოლგა ადვილი სატარებელია, – განმარტა ბუბომ.



– ბუბო, ქოლგის დაკეცვა მასწავლე, ფულუროში უნდა შევინახო, – სთხოვა კოსტამ, ქოლგის ტარს წვრილი თითები ჩაავლო, უკანა ფეხებზე შედგა, ძაღვ-ლონე მოიკრიბა და ქოლგა მიწას კი ააცილა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა.

ბურჩქებში მიმალულმა მაჩვმა მანუჩარმა კმაყოფილმა ჩაიცინა.

– ქოლგა იმას ვაჩუქოთ, ვინც ყველაზე მოხდენილად დაიჭერს. კოსტა, რას იტყვი? – ხმამალა დაეკითხა ბუბო ხვლიკს.

– კარგი, ასე იყოს, – დაეთანხმა კოსტა.

ქოლგის აწევა ზღარბს, თაგუნას, ყვავეს, ბაყაყს, კოდალასა და კუს არც კი უცდიათ.

ციყვმა თეკომ ქოლგა ძლივძლივობით დაძრა, მაგრამ ორი ნაბიჯის გადადგმაც კი ვერ შეძლო. კურდღელმა ქოლგა თავისუფლად ასწია და კარგადაც გაიარა, მაგრამ მანუჩარი ბურჩქებიდან გამოვიდა და თებროს ბრძანების კილოთი უთხრა:

– აბა, ქოლგა მომეცი!

თებრომ ქოლგა დანანებით გაუწოდა. მანუჩარმა მზის სათვალე გაიკეთა, ქოლგა იოლად ასწია და მოხდენილად გაიარა.

– მოვხუცდი, ველარც მცხუნვარე მზის სხივებს ვუძლებ, ვერც წვიმას. ქოლგა ძალიან მჭირდება, – მანუჩარმა ქოლგა დაკეცა, კმაყოფილი გამომეტყველებით მხარზე გაიღო და წასვლა დააპირა.

უცებ მელაკუდა ლიზილუიზა გამოჩნდა. თურმე შორიასხლოს მდგარა და ქოლგას ანთებული თვალებით უმზერდა.

– შანსი ლიზილუიზასაც უნდა მივცეთ! – გადაჭრით თქვა კოსტამ და მაჩვს გამომცდელად გახედა.

მანუჩარმა ქოლგა გახსნა და მელაკუდას უხალისოდ გადასცა. ლიზილუიზამ ქოლგა მსუბუქად ასწია, გრძელი, ფაფუკი კუდი შეარხია და მოდელივით ისე ნარნარად გაიარ-გამოიარა მაჩვი მანუჩარიც კი პირდაღებული დატოვა.

– ქოლგა ლიზილუიზასია! – საზეიმოდ გამოაცხადა კოსტამ. მის სამართლიან გადანყვეტილებას დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

– გმადლობთ უმშვენიერესი საჩუქრისთვის, თქვენ ნამდვილი მეგობრები ხართ, – გულაჩუყებული მელაკუდა ლიმილს ვერ იკავებდა.

ხასხასა მწვანე ქოლგა ლიზილუიზას ისე ძალიან უხდებოდა, სანამ ტყეში არ გაუჩინარდა, ყველანი მოჯადოებულებივით შესცქეროდნენ.



ხვლიჩი ჟოსტა და მანანა ონანუ

დილით ციყვმა თეკომ და კოსტამ სოკოები დაკრიფეს, სუროსგან დანწულ თოკზე აასხეს და ტოტზე გასაშრობად გაკიდეს. დაღლილი ხვლიკი თეკოს ფულუროსთან მოკალათდა და ტკბილად ჩასთვლიმა, მაგრამ თვალი მალევე ჩყიჭა – რალაც არსება ზედა ტოტზე კუდით თავდაყირა ეკიდა, ხვლიკს ენას უყოფდა და ეჭყანებოდა. კოსტამ თვალი მაგრად დახუჭა და... როცა გაახილა, აღარავინ ჩანდა.

– ნამდვილად მომელანდა, – ჩაილაპარაკა კოსტამ და ისევ ჩასთვლიმა.

კურდღელმა თებრომ ბილიკზე ზურგზე ამობრუნებული კუ კუკური დაინახა. კუკური ფეხებს უმწეოდ აფართხალებდა და გადმობრუნებას ცდილობდა.

– ვილაც თავხედმა ზურგზე გადამაბრუნა, მერე ტაში შემოჰკრა და სადღაც გაქრა, – გულისწყრომა ვერ დამალა კუმ.

მაჩვმა მანუჩარმა ტყეში შეგროვილი კენკრა სოროსთან კალათით მიიტანა, მაგრამ შესასვლელი ქვებით ამოქოლილი დახვდა. დაღლილმა მანუჩარმა ქვების გადმოყრა დაიწყო, რომ ამ დროს ბურქებში სიცილი გაისმა.

ბაყაყი ბაყიტო და თავუნა ცუცა ნაკადულის პირას თხილის ჩრდილში ისვენებდნენ. ტოტები გადაინია და მწველმა მზემ კეფა აუნვათ. ბაყიტომ და ცუცამ თავგასული დიდხანს ეძებეს, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრეს.

თეკოს ტოტზე გაკიდული სოკოები ჩამოხსნილი დახვდა.

აღშფოთებული მეგობრები მანუჩარის სოროსთან იკრიბებოდნენ.

– ჩემს სოროში შემძვრალიყო, ტუჩსაცხით სახე გაეთხუპნა, ხელში ქოლგა ეჭირა და აქეთ-იქით მოუსვენრად დახტოდა. მერე ქოლგა მაღლა აისროლა. გავიქეცი და ქოლგის დაჭერა მოვახერხე, ის კი აჩრდილივით სადღაც აორთქლდა, – თქვა მელაკუდა ლიზილუიზამ.

– ორი გოჭი ერთმანეთს კუდებით გადააბა. ჭინკასავით ბზრიალებდა და რალაცნაირ ხმებს გამოსცემდა. მისკენ რომ გავქანდი, უმალ მუხაზე აძვრა, მეჭყანებოდა და რკოებს მესროდა. ფულუროდან ბუ ბუბო გამოვიდა და ძლივს დააწყნარა, – აღელვებით თქვა დედა ღორმა ღრუტომ.

შეცბუნებულმა ზღარბმა ბაბალემ ზურგით სოკოები მოარბენინა.

– ბაბალე, სოკოები რატომ მომპარე? – თეკოს გაკვირვებისგან თვალეები გაუფართოვდა. ვერაფრით წარმოედგინა, რომ ბაბალე სოკოებს მოჰპარავდა.



– ვილაც მალულად მომყვებოდა და ზურგზე სოკოებს მაყრიდა, – თქვა ბაბალემ. – მერე ტაში დასცხო და უკვალოდ გაქრა.

– ხეს ნისკარტს ვუკაკუნებდი, თავში გირჩი რომ მომხვდა. ყურადღება არ მივაქციე, მეგონა, გირჩა ტოტს თავისით მონყდა. მერე ტაში გაისმა და კიდევ ერთი გირჩა დამეცა. ცოტა არ იყოს, შევშინდი, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერავინ დავინახე, – თქვა კოდალა კაკუმ.

– ეგ არამზადა დავიჭიროთ და ჭკუა ვასწავლოთ, – თქვა მანუჩარმა.

– ვინ უნდა იყოს? ტყეში ასეთი არეულობა არასოდეს ყოფილა, – აღშფოთებით ლაპარაკობდა ზღარბი ბაბაღე.

სად იყო და სად არა, ბუ ბუბოც მოფრინდა.

– ვიცი, ვინც არის! მაკაკაა, მაიმუნი. დავინახე, ღრუტოს რკოებს როგორ ესროდა, ფულუროდან გამოვედი და მკაცრად ვუსაყვედურე. ჩემკენ შემობრუნდა, შუბლი შეიკრა, რაღაც ოინის მონყობას აპირებდა. თვალები დავუბრიალე. ეტყობა, შეეშინდა და საცოდავად შემომხედა.

– აქ რა უნდა? საიდან მოვიდა? – იკითხა ბაბალემ.

– ერთი ზოოპარკიდან მეორეში სატვირთო მანქანით გადაჰყავდათ. ეტყობა, მომვლელმა გალიის კარი კარგად ვერ ჩაკეტა, მკვეთრ მოსახვევში გაიხსნა, მაკაკა გალიიდან გამოძვრა, ისკუპა და ჩვენს ტყეს შეაფარა თავი. ოკაკუ ჰქვია, – ჩაეცინა ბუბოს.

– თავზედი ვინმეა! – თქვა ცუცამ.

– ზოოპარკში გათამამებული ჰყავდათ. ოკაკუსთვის აქ ყველაფერი უცხოა. შეშინდა, თანაც ძალიან მოშივდა. მოდით, ოკაკუს ჩვენი სტუმართ-მოყვარეობა ვაჩვენოთ და აღარაფერს დაგვიშავებს, – თქვა ბუბომ, – თანაც ძალიან დაუზარელი და ყოჩაღია.

მეგობრები ხმას არ იღებდნენ, ბუბოს ეჭვის თვალით შეჰყურებდნენ.

– ჩემთვის ისეთი არაფერი დაუშავებია, მხოლოდ ენას მიყოფდა და მეჭყანებოდა, – ჩაიციხა კოსტამ.

– ტოტები გადასწია და მზის სხივები შემოგვაჭყიტა, – გაიღიმეს ცუცამ და ბაციტომ.

– თებრო რომ არ გამოჩენილიყო, ახლაც ამოყირავებული ვიქნებოდი, – ისევ ბრაზობდა კუკური.

– მე ქვების გადმოყრაში გავწვალდი, გაფუჭებით კი არაფერი გამფუჭე-ბია, – ღიმილით თქვა მაჩვმა მანუჩარმა.

– ვაპატიოთ და ვნახოთ როგორ მოიქცევა, – თქვა კოსტამ.

– მაშინ პატიება გვთხოვოს, – მკაცრად მოითხოვა ცუცამ.

– ოკაკუ! – დაიძახა ბუბომ.

კაკლის ხიდან ოკაკუ ჩამოძვრა და თავდახრილმა თქვა:

– მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ. დავმეგობრდეთ.

ოკაკუ ისეთი სანყალი ხმით ლაპარაკობდა, ყველას შეეცოდა და მშვიერი მაკაკასთვის საჭმლის მოსატანად გაცვივდნენ.

მალე კაკლის ხესთან დიდ კუნძზე არაჩვეულებრივი სუფრა გაიშალა. თეკომ კი ლამაზად გაფორმებული ხილის ტორტი მოიტანა. ოკაკუმ ხელი ტყის ვაშლებს დასტაცა და სიამაყით განაცხადა:

– ზოოპარკში ბავშვებს ასე ვართობდი. ძალიან მოსწონდათ.

ოკაკუმ ვაშლები ჟონგლიორივით ჰაერში ააბურთავა. ყველანი აღტაცე-ბით შესცქეროდნენ. უცებ ოკაკუს რაღაც აერია, ვაშლები ერთმანეთის მი-ყოლებით ტორტში ჩაცვივდა და კრემი აქეთ-იქით გაიფანტა. სიჩუმე ჩამონ-ვა. ოკაკუმ დრო იხელთა და წამში კაკლის ხეს კენწეროზე მოექცა.

მანუჩარმა შუბლიდან კრემი მოიწმინდა და დააგემოვნა.

– ძალიან გემრიელია, – მაჩვმა გაღიმებულ კურდღელს შეხედა, ყური-
დან კრემი თითოთ მოაცილა, გალოკა და გულიანად გაიცინა.

კრემი ზოგს სად მოსცხებოდა და ზოგს სად. ხარხარებდნენ და პირს იტ-
კბარუნებდნენ. ოკაკუმ ტაში დაუკრა, ხიდან ჩამოძვრა და გამხიარულებული
მეგობრებისკენ წამოვიდა.



სკლიანი ხოსტა და ლემური ლონდა

ერთ დღეს თუთიყუშმა ჟაკოს უცნაური ხმა შემოესმა. ჟაკო ხმას მიჰყვა და სოფლის ბოლოში, სახლის სახურავზე შემოვიდა. ეზოს გალავანზე მიდგომულ დიდ გალიაში გრძელკუდა არსება იჯდა, რომელიც მაკაკა ოკაკუს წააგავდა. ბავშვები გალიასთან შეკრებილიყვნენ და გულიანად იცინოდნენ.

ჟაკო ტყეში, კოსტას ფულუროსკენ გაფრინდა. ტოტზე განოლილი ხვლიკი მზეს ეფიცებოდა.

– გამარჯობა, კოსტა. სოფელში მაკაკასნაირი ცხოველი გალიაში ჰყავთ გამომწყვდეული.

– ოკაკუსნაირი?

– კი, ძალიან ჰგავს. ოკაკუ სად არის? – ჰკითხა ჟაკომ.

– წიფელზე უნდა იყოს. ოკაკუ! – გასძახა კოსტამ.

წიფლის ტოტები შეირხა და ფოთლებიდან თავი მაკაკამ გამოყო.

– მოდი, ჟაკომ რალაც უნდა გკითხოს.

ოკაკუ რცხილაზე გადმოხტა, მერე ნაძვზე ისკუპა და ჟაკოს ცხვირწინ დასკუპდა.

– დიდ გალიაში უცნაური ცხოველი ჰყავთ დამწყვდეული. რალაცით შენ გგავს, ძალიან გრძელი კუდი მხარზე აქვს გადმოკიდებული.

– ნამდვილად ჩემი მეგობარი ლემური ლონდა იქნება.

– ლემური ვინაა?

– ნახევრად მაიმუნი, ნახევრად კატა. სატვირთო მანქანიდან რომ გადმოვხტი, ჩემთან ერთად გალიაში ლემურიც იჯდა. არ ვიცი, ლონდამაც მოახერხა თუ არა გაქცევა.

– თუ ნახევრად მაიმუნია და ნახევრად კატა, ადვილად გაიქცეოდა.

– გზაზე რომ დავხტი, აქეთ-იქით კიდეც დიდხანს ვიყურებოდი, არ გამოჩენილა.

– პოლიციას ხომ არ შევატყობინოთ? – თქვა ჟაკომ.

– არა! პოლიციას აუცილებლად ეცოდინება მაკაკა ოკაკუსა და ლემურის გაქცევის ამბავი. ლონდას მაშინვე ზოოპარკში გადაიყვანენ და ოკაკუსაც დაუწყებენ ძებნას, – კოსტა ერთხანს ჩაფიქრდა და გახარებულმა წამოიძახა: – მაჩვი მანუჩარი დაგვეხმარება. დაღამებისთანავე მაჩვი გალავნის ქვემოთ ხვრელს გათხრის, გალიაში ამოძვრება, ლემურს გამოვიყვანთ და ტყეში დავბრუნდებით.

– მანუჩარი დაგვეხმარება? – დაეჭვდა ოკაკუ. – უცნაური ვინმეა, თვალი



სულ გამორჩენაზე უჭირავს.

– ასეა, – დაეთანხმა კოსტა, – მაგრამ კეთილი გული აქვს.

– ხვრელის გათხრა თავუნა ცუცასაც შეუძლია, მელაკუდა ლიზილუიზა-საც, – თქვა ჟაკომ.

– არც ისინი გვეტყვიან უარს. მაჩვს მოვძებნი, ცუცასაც. მზე ჩავა თუ არა, ნიას სახლთან შევიკრიბოთ, – კოსტა მაჩვის მოსაძებნად გაიქცა.

ჟაკო სოფელში გაფრინდა, ოკაკუ კი წიფლის ხეზე აძვრა.

კოსტას მანუჩარი სოროსთან დახვდა, იქაურობას ალაგებდა, ცუცა და ბაყაყი ბაყიტოც ეხმარებოდნენ. ხვლიკმა ლემურზე ყველაფერი უამბოთ.

– მეც წამოვალ! – წამოიძახა ცუცამ.

– მეც! – იყვირა ბაყიტომ.

– არა, ხვრელს მარტო გამოვთხრი. ასე ვერ შეგვამჩნევენ.

მზე ჩავიდა თუ არა, კოსტა, მაჩვი მანუჩარი და მაკაკა ოკაკუ ნიას სახლთან მივიდნენ, ჟაკო მათ ლემურის ადგილსამყოფელისკენ გაუძღვა. გზაში არავინ

შეხვედრიათ. ჟაკო გალავანზე შემოჯდა და მანუჩარს ანიშნა, საიდან დაეწყო თხრა. ეზოში აღარავინ იყო, ბავშვების ხმები შორიდან მოისმოდა. ჟაკო გალიაზე დაფრინდა. უცებ ოკაკუ ადგილს მოსწყდა, გალავანზე ახტა და გალიას თავზე მოექცა.

– ლონდა! – ჩუმად დაიძახა მაკაკამ.


– ოკაკუ, შენ?! – ლონდას თვალები გაუბრწყინდა.

– ჩუმად! მაჩვი ხვრელს გამოთხრის და ტყეში წაგიყვანთ.

მალე გალიაში მაჩვი მანუჩარი და კოსტა ამოძვრნენ და ლემური გაათავისუფლეს.

ტყის ბინადრებს ლონდა ძალიან მოეწონათ.

ლემური ლონდა ოკაკუსთან ერთად წიფლის ხეზე დასახლდა.



ხვლიჩი ჟოსტა და საბეფო პინგვინი პინგა

კოსტას მხიარული და მოხერხებული ვირთაგვა ვახტო მოენატრა, ყვავ ყვანჩიტოს კი თავისი ძმა – ბუხა და მეგობრებმა ქალაქში წასვლა გადანიწყიტეს.

ერთ მშვენიერ დღეს ყვანჩიტომ კოსტა ქალაქში გადააფრინა.

დიდ პარკში ისევ უამრავი ხალხი დასეირნობდა.

– ვახტოს მოვინახულებ და სალამოს ეშმაკის ბორბალთან მოვალ, – თქვა კოსტამ და ლამაზი სამსართულიანი სახლისკენ გაიქცა, რომლის სარდაფშიც ვირთაგვა ცხოვრობდა.

კოსტამ პარკის მოცეკვავე შადრევანთან სკამზე ჩამომსხდარი სამი კაცი დაინახა.

– ნუთუ ისინი არიან? – ჩაილაპარაკა გოცეებულმა ხვლიკმა და ბურქებს შეეფარა. – ნამდვილად ისინი არიან, დედა ღორისა და გოჭების გამტაცებელი ბრაკონიერები. ნეტავ, აქ რა უნდათ? რაღაც საეჭვოდ იქცევიან, აქეთ-იქით გაფაცვიცვებით იყურებიან. ვახტოს ყველაფერს ვუამბობ, – კოსტა ბურქებიდან გამოსხლტა, ბილიკი გადაირბინა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

– ხვლიკი, მწვანე ხვლიკი! ის არის, ის! – წითურთმიანი სკამიდან წამოხტა და ხელი კოსტასკენ გაიშვირა.

– კარგი რა! ჭკუიდან ხომ არ შეიშალე? ხვლიკი ტყიდან აქ როგორ მოვიდოდა? – დაცინვით უთხრა კეპიანმა.

სამსართულიან სახლთან კოსტას ვირთაგვას ხმა მოესმა:

– კოსტა, ძმაო! ძალიან გამიხარდა შენი დანახვა. აქ რა ქარმა გადმოგაგლო?

– ქარს არ გადმოვუგდივარ, ყვანჩიტომ გადმომაფრინა.

სანვიმარი მილიდან ჩამოსული ვახტო ხვლიკს გადაეხვია.

– შადრევანთან სამი კაცი დავინახე, – აღელვებით თქვა კოსტამ. – მათ ტყიდან დედა ღორი გოჭებიანად გაიტაცეს. რაღაც ცუდს მიგრძნობს გული.

კოსტამ და ვახტომ პარკთან რომ მიირბინეს, კაცები სატვირთო მანქანის კაბინაში სხდებოდნენ. ხვლიკი და ვირთაგვა ძარაზე აცოცდნენ. სატვირთომ ავტომობილებით სავსე ქუჩებში გაჭირვებით გაიკვლია გზა, ცირკის შენობას წრე დაარტყა და უკანა შესასვლელთან გაჩერდა.

– ვიცი, რაც ჩაიფიქრეს – დღეს ცირკის არენაზე მსოფლიოში სახელგანთქმული სამეფო პინგვინი პინგა გამოდის. ნამდვილად პინგას გატაცება უნდათ, – დარწმუნებით თქვა ვახტომ.

ბრაკონიერები კაბინიდან ჩამოვიდნენ და ძარადან დიდი ყუთი ჩამოიღეს.

ყუთს წითელი ასოებით ეწერა – „სამეფო პინგვინი პინგა“. კაცებმა ცირკის უკანა კარი შეაღეს.

– რა მიგაქვთ! – დაცვის თანამშრომელი კაცებს წინ გადაუდგა.

– პინგასთვის ახალი თევზი მოვიტანეთ, – კეპიანმა ყუთს თავი ახადა.

დაცვის თანამშრომელს თევზის სუნი არ ესიამოვნა, სახეშეჭმუხნილმა ცხვირზე ხელი აიფარა და კბილებში გამოცრა:

– სწრაფად გაიარეთ!

ვირთავგამ სატვირთო მანქანის წინა საბურავები მჭრელი კბილებით დაღრღნა, მერე კი კაბინაში აცოცდა.

– ყვანჩიტო, ბუხა, აქ რა გინდათ! – შესძახა კოსტამ.

– მანქანაზე დაგინახეთ და გამოგედევნეთ, – ყვანჩიტო კოსტასთან დაეშვა და დინჯი ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა.

– თქვენი დახმარება გვჭირდება! – თქვა კაბინიდან ჩამომხტარმა ვახტომ.

კოსტამ ყვავებს ყველაფერი უამბო. მერე ყვანჩიტო და ბუხა ჭადრის ხეზე ჩამოსხდნენ, ვახტო და კოსტა კი ცირკის უკანა კარისკენ წავიდნენ.

ბრაკონიერებმა პინგას მომთვინიერებელი გაკოჭეს, ყუთს თავი ახადეს, თევზი იატაკზე დაყარეს, პინგას ნისკარტზე წებოვანი ლენტი დაახვიეს, ყუთში ჩასვეს და გასასვლელისკენ სწრაფად გამოემართნენ.

– მწვანე ხვლიკი! – წითურს სასონარკვეთილი ხმა აღმოხდა და ადგილზე გახევდა.





– ჩუმად! ფეხი წინ გადადგი, არაფერი შეიმჩნიო, – ნაძალადევი ღიმილით უჩურჩულა კეპიანმა.

ბრაკონიერები ცირკიდან სწრაფად გავიდნენ და შვებით ამოისუნთქეს.

– საბურავები დაშვებულა! – შეჰყვირა კეპიანმა.

– ხვლიკი! ყველაფერი მაგის მონყობილია! – წითურთმიანმა თავში ხელი შემოიკრა.

– არაფერია, დაშვებული საბურავებითაც გავიქცევით, – დარწმუნებით თქვა კეპიანმა.

ბრაკონიერებმა ყუთი ძარაზე აიტანეს და კაბინაში შეცვივდნენ.

– სიჩქარის გადამრთველი ბერკეტი გადალრნილია! – კაბინიდან კეპიანის განწირული ხმა გაისმა.

უცებ ყვავებმა პოლიციის მანქანის მაგვარი სირენის ხმა გამოსცეს.

– ჯანდაბას პინგვინი, თავს ვუშველოთ! – ბრაკონიერები კაბინიდან ჩამოხტნენ, მაგრამ პოლიციის სირენის ხმაზე ცირკიდან გამოცვივნილმა დაცვის თანამშრომლებმა დამნაშავეები იქვე დააკავეს. ამასობაში ვირთხამ ყუთის თავსახური გადალრლნა და ძარიდან სახემოლიმარმა პინგამ ამოყო თავი.

ვახტომ, კოსტამ, ყვანჩიტომ და ბუხამ პინგვინის მინვევით წარმოდგენას საპატიო სტუმართა ლოჯიდან უცქირეს, ბატიბუტიც სიამოვნებით მიირთვეს და პინგას არენაზე გამოსვლითაც ძალიან იხალისეს.

მეორე დღეს გაზეთში კოსტას, ვახტოს, ყვანჩიტოსა და ბუხას სამეფო პინგვინთან გადაღებული ფოტოები დაიბეჭდა. გაზეთი ყვანჩიტომ და კოსტამ ტყეში წაიღეს.

ხვლიანი ხოსტა და ნაკადული

კოსტამ, თავუნა ცუცამ და ბაყაყმა ბაყიტომ ნაკადულთან თამაშით გული რომ იჯერეს, მოსალამოვებულზე კოსტა ციყვ თეკოს ფულუროში ეწვია.

– თეკო, მინდა, ნაკადული ვიყო.

– რატომ?

– მინდა, ფრინველებსა და ცხოველებს წყალი დავალევინო, მხიარულად ვაჭყუმპალაო.

– კარგია, მაგრამ ნაკადულად როგორ უნდა იქცეო?

– არ ვიცი, – მოიწყინა კოსტამ.

– ბუ ბუბოსთან წავიდეთ, რამეს გვირჩევს, – გაამხნევა თეკომ.

მეგობრები ბებერი მუხის ხეს მიადგნენ და ბუს შესძახეს. ფულუროდან ბუბო გამოვიდა.

– კოსტას სურს, ნაკადული იყოს. ამისთვის რა უნდა გააკეთოს? – ჰკითხა ციყვმა.

– ნამდვილ ნაკადულად ვერავინ იქცევა, ასეთი სასწაულები მხოლოდ ზღაპრებში ხდება, – ბუბო ერთხანს დაფიქრდა. – ღრმა ჭურჭელი იშოვნეთ, ხის ძირას დადგით და წყლით აავსეთ, – ბუმ ხვლიკს შეხედა. – მერე თავი ნაკადულად წარმოიდგინე და მომსვლელებს კეთილად გაუღიმე. ზოგი წყალს დალევს, ზოგიც იბანავებს. რაც მთავარია, კეთილ საქმეს გააკეთებ.

– ღრმა ჭურჭელი სად ვიშოვოთ? – იკითხა თეკომ. – მე მხოლოდ თეფშები და ჭიქები მაქვს.

– გოგონა ნია დაგვეხმარება! – შეჰყვირა კოსტამ.

მეგობრები სოფელში გაიქცნენ.

საღამოს ნიამ კოსტას ხესთან ორი ძველი ვარცლი დადგა – ერთი დიდი, მეორე მომცრო, და კიდევ ორი პლასტიკისის ჭიქა.

– მეგობრებიც მოგეხმარებიან და ნაკადულიდან სამყოფი წყლის მოტანა არ გაგიჭირდებათ, – დაარიგა ნიამ.

– მეც მოგეხმარებით, – სიამაყით თქვა მელაკუდა ლიზილუიზამ.

– მეც! – თავი გამოიღო მაჩვმა მანუჩარმა.

– ჩემზე მკვირცხლად ვერავინ ირბენს, – თავი მოიწონა კურდღელმა თებრომ.

– ჩემზე სწრაფად ვერავინ იფრენს, ჭიქას ბრჭყალებით დავიჭერ, – დაიტრახაბა ყვანჩიტომ.

– ჩვენზე მოხერხებულად წყალს ვერავინ მოიტანს, – ერთდროულად შეჰყვირეს მაკაკა ოკაკუმ და ლემურმა ლონდამ.

– ჭიქა ბაკანზე დამადგით, წყალს მეც მოვიტან, – ჩაერთო კუ კუკური. კუს ნათქვამს ლიმილით შეხვდნენ.

ინათა თუ არა, მეგობრები მუშაობას შეუდგნენ. ვისაც როგორ შეეძლო, წყალს ისე ეზიდებოდა. შუადღისთვის ვარცლები პირთამდე აავსეს. დაღლილი კოსტა მზეს მიეფიცხა, დანარჩენებმა კი ჩრდილში მოიკალათეს.

– წყლის დაღვევა შეიძლება? – იკითხა ზღარბმა ბაბალემ.

– რა თქმა უნდა, მე ხომ ნაკადული ვარ! – კმაყოფილებით უპასუხა კოსტამ.

უცებ ხვლიკის წინ შაშვი დასკუპდა:

– ნაკადულო კოსტა, შეიძლება ბარტყებმა წყალში იჭყუმპალაონ? ძალიან დასცხათ.

„ნაკადულო კოსტა“ – ეს სიტყვები კოსტას ძალიან მოეწონა და სიამოვნებით დათანხმდა:

– იბანაონ, ციცქნა გულები გაიგრილონ.

დედა ღორმა ღრუტომ გოჭები მოიყვანა, წყალი დააღვეინა და ხვლიკი შეაქო:

– ნაკადულო კოსტა, ძალიან კეთილი ხარ.

ტყეში ნაკადული კოსტათი ყველა კმაყოფილი იყო. იმ დილით ხვლიკმა გაიღვიძა თუ არა, ციყვი თეკოს ფულუროდან გამომავალი კვამლი შენიშნა.





– თეკო, თეკო! – აღელვებით შეჰყვირა ხვლიკმა და წამში ფულუროსთან გაჩნდა.

თეკო სადღაც წასულიყო, ფულუროს კი ცეცხლი მოსდებოდა. კოსტამ წიფლის ხესთან მიიღრინა და საშველად მაკაკასა და ლემურს უხმო. ოკაკუმ და ლონდამ ძალიან იყოჩაღეს, სათლიდან წყალი წაიღეს და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს.

– მეხანძრე კოსტა! მეხანძრეებო ოკაკუ და ლონდა, დიდი მადლობა ფულუროს გადარჩენისთვის! – ციყვმა მეგობრებს გულთბილად გაუღიმა.

„მეხანძრე კოსტა“ – ხვლიკს ეს გამოთქმაც ძალიან მოეწონა.

გავიდა რამდენიმე დღე და კოსტამ მეგობრებს მორცხვად განუცხადა:

– ვწევარ სათლებთან და მადლობებს ვისმენ, არადა, მადლობას თქვენ უფრო იმსახურებთ, ნაკადულიდან წყალს დაუზარებლად რომ ეზიდებით. ერთ ადგილზე ყოფნაც მომბეზრდა, სეირნობა და გართობა მომენატრა. ვისაც რამდენი უნდა, იმდენი წყალი დალიოს; თუ ვინმე ჭყუმპალაობას და გაგრილებას მოისურვებს, დაე, იცურაოს, მხოლოდ სათლები ავაგსოთ – ჩვენ ხომ კეთილი ნაკადულები ვართ.

კოსტას ნათქვამი ყველას მოეწონა, ხვლიკი ტაშით დააჯილდოვეს და წყლის მოსატანად მზიარულად გაიქცნენ.

ხვლიანი ჯოსტა და ფერადი ბუბები

გოგონა ნიას ტყის მეგობრები მოენატრა, განსაკუთრებით კოსტა. მხარზე თუთიყუში ჟაკო შეისვა, სამი ლამაზი ბუბტი ერთმანეთს დაფით გადააბა, კოსტას საყვარელი შოკოლადის ფილა და სხვა საჩუქრები ქალაქის პარკში ჩააწყო და ტყისკენ გასწია.

კოსტას ნაძვს რომ მიუახლოვდა, ნიამ კურდღელი თებრო დაინახა.

– გამარჯობა, თებრო! ბუბტები გამომართვი, დაფს ხელი არ გაუშვა, მაგრად გეჭიროს, – გააფრთხილა გოგონამ კურდღელი. – კოსტას ვნახავ და ტკბილეულს დავუტოვებ. მაკაკა ოკაკუს ბანანი წამოვუღე, ვიცი, ძალიან უყვარს. ჯერ ბუბტები ავაფრინოთ, მერე კი ციყვი თეკო ჩაის მოგვიდუღებს და ტკბილეული ყველამ ერთად მივირთვათ.

ნიას ნათქვამი თუთიყუშმა ჟაკომ თებროს ტყის ბინადართა ენაზე გაუმეორა. კურდღელმა გოგონას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ნია ნაძვთან მივიდა და კოსტას შეეხმინა, მაგრამ არავინ გამოეუპასუხა. გოგონა ახლა ციყვი თეკოს ნაძვს მიადგა.

– რა ლამაზი ბუბტებია? – გაიკვირვა მოულოდნელად დაბრუნებულმა კოსტამ.

– ნიასია. შენთან წამოვიდა.

– რა ლამაზად ფრიალებენ, – კოსტა წითელ, ყვითელ და მწვანე ბუბტებს პირდაღებული შესცქეროდა. – სულ ცოტა ხნით დამაჭერინე! – კოსტამ ხელი ბუბტებისკენ წაიღო.

– მხოლოდ ერთი წამით, – თებრომ ბუბტები ფრთხილად გაუწოდა.

ხვლიკმა დაფს ხელი მოავლო თუ არა, ბუბტებმა ცაში აიტაცეს.

– კოსტააა! – შეჰყვირა თებრომ.

– თებროოო! – ზევიდან კოსტას სასონარკვეთილი ძახილი მოისმა.

წიფლის კენწეროზე მოქცეული მაკაკა ოკაკუ ხვლიკის ყვირილზე ფოთლებიდან გამოხტა და ლამაზი ბუბტების დანახვაზე, ის იყო, ტაში უნდა შემოეკრა, ბუბტებს დაფზე ჩაფრენილი და შიშისგან თვალეზგადმოკარკლული კოსტა რომ ამოჰყვა. ოკაკუ მარცხენა ხელით ტოტს ჩაეჭიდა, მარჯვენა ხელი კი კოსტას გაუწვდინა. ხვლიკი შეეცადა, მაკაკას მარჯვენას მოსჭიდებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა – ფერადი ბუბტები კოსტას ცის სიღრმეში მიაქანებდნენ. მალე ტყე, ფერდობი და სოფელი ისე დაპატარავდა, რომ კოსტა ველარც კურდღელს ამჩნევდა, ვერც ციყვს, ვერც მაკაკას და ველარც გოგონა ნიას. ნეტავ, სად მი-



აქროლებდნენ ბუმტები? ეღირსებოდა ოდესმე ტყეში დაბრუნება? კოსტას, ის იყო, გადარჩენის იმედი გადაეწურა, უეცრად ყვავი ყვანჩიტოს ხმა რომ შემოესმა:

– კოსტა! ზურგზე დამახტი და მაგრად ჩამეჭიდე! სწრაფად, თორემ უფრო მალლა ველარ ამოვფრინდები!

კოსტა ჩახტომას ვერ ბედავდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და ძაფს ხელი გაუშვა. ხვლიკს ჰაერმა უბიძგა, გვერდზე გააქანა, ყვავს ასცდა და ტყისკენ ყვირილით ჩაქანდა. ყვანჩიტომ ფრთები სწრაფად დაიქნია, კოსტას დაენია და ქვემოდან მოექცა. ხვლიკმა მოახერხა, თითები ბუმბულზე ჩასჭიდა და ტყეში მშვიდობიანად დაეშენენ.

აღელვებული მეგობრები გარს შემოეხვივნენ. გახარებულმა მაკაკამ ტაში დასცხო. ყვანჩიტოს აქებდნენ, კოსტას კი გადარჩენას ულოცავდნენ. ხვლიკი სიყვარულით გადაეხვია ციყვ თეკოს, კურდღელ თებროს, ზღარბ ბაბალეს, თავუნა ცუცას, ბაყაყ ბაყიტოს, მაკაკა ოკაკუს, კუ კუკურის, მაჩვ მანუჩარს,

გოგონა ნიას და თუთიყუშ ჟაკოს.

– ისე მაღლა ავფრინდი, შიშისაგან სუნთქვა შემეკრა, მაგრამ უფრო იმაზე ვდარდობდი რომ ველარასოდეს გნახავდით, – თქვა გახარებულმა ხვლიკმა.

თეკომ სურნელოვანი ჩაი მოადულა და მეგობრები ნიას ნაჩუქარ ტკბილეულს მხიარულად შეექცნენ.

– ბუშტებმა სწრაფად ამიტაცეს და ძაფისთვის ხელის გაშვება ველარ გავბედე, – თავი იმართლა კოსტამ.

– ბუშტები ჰელიუმის გაზით იყო გაბერილი. ჰელიუმის გაზი ჰაერზე მსუბუქია და იმიტომ აგაფრინეს, – განმარტა ბუ ბუბომ.

– ყვანჩიტოს რომ არ ეყოჩაღა, ახლა მთვარეზე იქნებოდი, – გაიღიმა ციყვმა.

– გოგონა ნია დიდ ბუშტს მოგვიტანდა და ყველანი შენთან, მთვარეზე ამოვფრინდებოდით, – თავუნას ამ სიტყვებზე ყველას გულიანად გაეცინა.



ხვლიჩი ჟოსტა და... აბა, ვინ უფრო ჯათილია

ბებერ მუხასთან შეკრებილი მეგობრები თავს იქებდნენ.

– მე ყველაზე შორს ვხტები და ყველაზე სწრაფად დავრბივარ! – თავი მოინონა კურდღელმა თებრომ.

– სოროს ჩემზე სწრაფად ვერავინ გათხრის! – დაიტრაბახა მაჩვმა მანუჩარმა.

– ყველაზე ეშმაკი და ნიჭიერი ვარ! – მელაკუდა ლიზილუიზას იმის თქმაც სურდა: საქათმეში დედლებს ჩემზე უკეთ ვერავინ იჭერსო, მაგრამ გადაიფიქრა.

– თებროსნაირად მეც დავხტე. წყალში კი ჩემზე უკეთ ვერავინ ცურავს, – დაიქადნა ბაყაყმა ბაყიტომ.

– ხიდან ხეზე ჩემზე უკეთ ვერავინ დახტის, არც ეცადოთ! – ცოტა არ იყოს, გაბრაზებით თქვა მაკაკა ოკაკუმ და ირგვლივ ამაყად მიმოიხედა.

– ჩემი ეკლებით ზურგზე ათასი რამის აკვრა შემიძლია! – თავი შეიქო ზლარბმა ბაბალემ.

– ჩემ გარდა ხიდან მატლს ვერავინ ამოიყვანს! – კოდალა კაკუმ გრძელი ნისკარტი მალა ასნია.

– მე ჩემსავე ბაკანში შემიძლია თავის შეფარება! – კუ კუკურიმ თავ-ფეხი ბაკანში შემალა.

– ჩემზე უკეთ კუდით ტოტზე ვერავინ ჩამოეკიდება! – ლემური ლონდა გრძელი კუდით ტოტზე დაეკიდა.

– ჩემზე ჭკვიანი და მოხერხებული არავინაა, – დაიყრანტალა ყვავმა ყვანჩიტომ. – კაკალს კლანჭებით ვიჭერ და რაც შეიძლება მალლიდან ქვიან ადგილას ან კლდეზე ვაგდებ. ასე კაკალი ადვილად ტყდება.

ეს თავის ქება-დიდება დიდხანს გაგრძელდებოდა, ბუ ბუბო რომ არ ჩარეულიყო:

– გეყოთ ტრაბახი. აი, კოსტას ხმა არ ამოუღია, არადა, სწრაფად სირბილიც შეუძლია, ტოტიდან ტოტზე გადახტომაც, ხეზეც კარგად დაძვრება და, რაც მთავარია, ცდილობს, ყველას დაეხმაროს. მოდი, სიკეთის კეთებაში გავეჯიბროთ ერთმანეთს, – თქვა ბუ ბუბომ.

მეგობრებმა გადანწყვიტეს, რაც შეიძლება მეტი სიკეთე გაეკეთებინათ, სალამოს მუხის ხესთან შეკრებილთაგან გამარჯვებული კი ბუბოსგან საჩუქარს მიიღებდა.

სალამოს ბებერი მუხის ხესთან პირველი ციყვი თეკო მივიდა და კუნძზე ტორტი დადო. მალე სხვებიც შეიკრიბნენ. ფულუროდან ბუბო გამოვიდა, ქვევით ჩაიხედა და ხმამალა იკითხა:

– აბა, მოყევით, ვინ რა სიკეთე გააკეთეთ?

მაჩვ მანუჩარს ლაპარაკი ვერავინ დაასწრო:

– იხვს ჭუჭულები აცაბაცა მისდევდნენ. პატარები გავაჩერე და ერთ რიგად მოვანყვე, იხვს შვილები ადვილად რომ დაეთვალა, – მანუჩარი გაჩუმდა, თავი მოიქექა და განაგრძო: – შოშიას ბარტყი ხელში ავიყვანე და ვურჩიე, ბუდეში დაბრუნებულიყო, ასე უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა. დამიჯერა და ბუდისკენ გაფრინდა. ვილაცას სოკო მოენყვიტა და მიწაზე დაეგდო. სოკო ისევ მიწაში ჩავარჭე. აი, რამდენი სიკეთის გაკეთება მოვასწარი, – დაიკვებნა მანუჩარმა და სახეგაბადრულ მეგობრებს მოავლო მზერა.

– ჭიანჭველას ბალახის მოზრდილი ღერო მხარზე გაედო და ბუდეში გაჭირვებით მიათრედა. ჭიანჭველა ბალახიანად ავნიე და პირდაპირ ბუდესთან დავსვი, – ამპარტავნულად თქვა ბაყაყმა ბაყიტომ.



– ტყის პირას პატარა ნაძვის ხე უწყლობით ხმებოდა. მე და ლონდამ მის გარშემო მიწა გავაფხვიერეთ და კოსტას სათლებიდან ხეს წყალი დავუხსით, – სიამაყით თქვა მაკაკა ოკაკუმ.

– ბუდიდან გადმოვარდნილი ნიბლიას ბარტყები მიწაზე საცოდავად ფორთხავდნენ. ყვავ ყვანჩიტოს და კოდალა კაკუს დავუძახე, მათ ბარტყებს კლანჭები ფრთხილად ჩაავლეს და ბუდეში ჩასვეს, – კუ კუკურიმ ყვანჩიტოს და კაკუს მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

– მე ყვავილებს შორის ობობას ქსელში გაბმული ფრთახატულა პეპელა გავათავისუფლე, – ზღარბმა ბაბალემ მხსნელი რაინდივით მიმოიხედა.

– სოფელში ერთი საქათმე მქონდა შეგულებული, ჩასუქებული დედალი ამალამ უნდა მომეტაცა, მაგრამ გადავიფიქრე, – მელაკუდა ლიზილუიზამ კისერი კოხტად მოიღერა.

– კვერნას დაკრეფილი მოცვი კალათიდან ბალახებში ჩაებნა, მე კი სულ სათითაოდ ამოვუკრიფე, – კმაყოფილებით აღნიშნა თავუნა ცუცამ.

– ენოტი მცენარეებისგან სასწაულმოქმედ წამლებს ამზადებს. მთხოვა, მისი ავადმყოფი შვილიშვილისთვის წამალი მიმეტანა. წამში შვილიშვილის ბუნგატან გავჩნდი, – თქვა კურდღელმა თებრომ.

– ყველანი შექებას იმსახურებთ. აგერ, მაჩვ მანუჩარს სულაც სამი სიკეთის გაკეთება მოუსწრია, – გაელიმა ბუ ბუბოს.

მანუჩარმა თავზე ხელი კმაყოფილებით გადაისვა. გულში უკვე გამარჯვებას ზეიმობდა და საჩუქარი ელანდებოდა.

– სიკეთე მზესავითაა, ყველას ათბობს, ანათებს და, როდესაც სხვას ეხმარები, შენც მზედ იქცევი, ფრთები გესხმება. სიკეთის ჩადენა გულწრფელად უნდა გინდოდეს და შექებასა და საჩუქარს არ უნდა ელოდე. კოსტას უამრავი სიკეთე დაუთესავს, მაგრამ ამაზე არასდროს ლაპარაკობს. არც ახლა უთქვამს რამე. ყველამ ვიცით, რომ წამდვილი გამარჯვებული კოსტაა! – დარწმუნებით თქვა ბუ ბუბომ და ხვლიკს გახედა.

– არა, ასე არ არის! – შეჰყვირა კოსტამ. – თქვენი კეთილი გული რომ არა, ტყეში არ დავრჩებოდი. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს მუდამ დავეხმარებით, თანაგრძნობას გავუწევთ, ბოროტებას სიკეთეს დავუპირისპირებთ და ვერავინ დაგვამარცხებს.

კოსტას ყველა აღტაცებით შესცქეროდა – ზოგის თვალზე ცრემლმაც კი გაიბრწყინა.

ხვლიჩი ჟოსტა და ჯადოსნური ღღე

მზეს მიფიცხებულ კოსტას უსაქმოდ ნოლა მობეზრდა, ტოტზე გადაირბინა და ციყვი თეკოს ნაძვზე ისკუპა.

– თეკო! – ქვევიდან კურდღელი თებროს ძახილი მოისმა.

თებროსა და ზღარბ ბაბალეს კალათით ჟოლო მოეტანათ. კუ კუკურიც იქვე იდგა.

– ტორტს ვაცხოვ, სალამოს ყველას გეპატიჟებით, – უთხრა ციყვმა კოსტას.

– მეც მოგეხმარები! – გაუხარდა ხვლიკს.

– მაკაკა ოკაკუ და ლემური ლონდა არ გამოჩენილან, მოძებნე და ტორტზე დაპატიჟე. არ დაიგვიანოთ.

– აუცილებლად მოვძებნი, – კოსტა ნაძვიდან ჩაძვრა და გზას გაუდგა.

ბებერ მუხასთან ხვლიკს მაჩვი მანუჩარი შემოხვდა. მანუჩარმა ბილიკიდან გადახვევა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო და კოსტას უხერხულად გაუღიმა.

– მანუჩარ, სოკო სად მიგაქვს? – კალათზე მიანიშნა კოსტამ.

– სოროში. ზამთრისთვის ვაგროვებ, – მოკლედ უპასუხა მაჩვმა და ხვლიკს სწრაფად გაშორდა.

კოსტამ გზა განაგრძო. მაყვლის ბურჩებთან მელაკუდა ლიზილუიზას მოჰკრა თვალი. ლიზილუიზა სწრაფად შებრუნდა, მაყვლის ბურჩებს შემოუარა და ჯაგნარში გაუჩინარდა.

– რატომ გამირბიან? – გაოცებულმა კოსტამ მხრები აიჩეჩა.

ამ ძებნა-ძებნაში ხვლიკმა ნაკადულს მიაღწია და ბილიკს მთისკენ აუყვავა, მაგრამ ოკაკუსა და ლონდას ვერსად გადააწყდა და დაღონებული გამობრუნდა.

კოსტა თეკოს ნაძვს უახლოვდებოდა, მისკენ მგელი რომ გამოექანა. ხვლიკი, ცოტა არ იყოს, შეშინდა, მაგრამ ტაგო იცნო და დამშვიდდა. ტაგომ კოსტას მიუაღერსა, ალოკა. სწორედ ამ დროს იფნის უკნიდან მელაკუდა ლიზილუიზა გამოცუნცულდა, მერე მაჩვი მანუჩარიც გამოჩნდა და კოსტას მდიდრულად განყობილი სუფრისკენ გაუძღვნენ. რცხილის ფოთლებიდან მაკაკამ და ლემურმა გამოყვეს თავი და ტაში დასცხეს. სუფრასთან კოსტას მეგობრები შეკრებილიყვნენ. გოგონა ნიაც მხარზე შემომჯდარი თუთიყუში



ჟაკოთი იქ იყო. უცებ კუნძთან არწივი ყაფლანი და ყვავი ბუხა დაეშვნენ.

კოსტას მათი დანახვა ძალიან გაუხარდა.

მოულოდნელად ყაფლანის ზურგიდან ვირთაგვა ვახტომ ისკუპა.

– ვახტომ! – აღტაცებით შესძახა ხვლიკმა.

– ძმაო კოსტა! – ვირთაგვა ხვლიკს გადაეხვია.

გაოცებული კოსტა აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა.

– კოსტა, ერთი წელია, რაც ჩვენს ტყეში დასახლდი, – თქვა თეკომ. – ყველას თავი შეგვაყვარე. შენი შემყურე, უფრო კეთილები და მოსიყვარულეები გავხდით. მაპატიე, რომ ოკაკუ და ლონდა ტყუილად გაძებნინე, გვინდოდა, შენთვის სიურპრიზი მოგვეწყო.

– ახლა კი ნიას მამის საჩუქარი ვნახოთ! – თქვა თუთიყუშმა ჟაკომ და ფერდობს გახედა, საიდანაც ფერად-ფერადი შუშხუნები ამოიფრქვა.

– ეს რა ჯადოსნური დღე გამითენდა! – შუშხუნების შუქი კოსტას აცრემლებულ თვალებში ირეკლებოდა.

ერთ დღეს ფულუროსთან ტოტზე განოლილმა კოსტამ მასავით მწვანე, ძალიან ლამაზ ხვლიკს მოჰკრა თვალი, ხიდან ჩაცოცდა და ლამაზმანს მორიდებით უთხრა:

- მე კოსტა მქვია, შენ?
- ანაბელლია, - ანაბელლიამ კოსტას ნაზად გაუღიმა.
- ძალიან ლამაზი სახელია. აქ საიდან გაჩნდი?
- მოშორებით, ცაცხვის ხესთან სორო გამოვთხარე.
- დამიჯერე, ფულუროში ცხოვრება ბევრად უკეთესია. გინდა, ჩემი, ფულურო გაჩვენო?

- ფულუროში არასოდეს ვყოფილვარ, სიამოვნებით ვნახავ.
- კოსტა და ანაბელლია ნაძვზე აძვრნენ და ფულუროში შევიდნენ.
- მართლაც რა კარგია, აქედან ტყეც კარგად მოჩანს, ჰაერიც სუფთაა,
- კმაყოფილებით აღნიშნა ფულუროდან გამოსულმა ანაბელლიამ.

- იმ ნაძვზე ჩემი საუკეთესო მეგობარი ციყვი თეკო ცხოვრობს; წიფლის ხეზე - მაკაკა ოკაკუ და ლემური ლონდა; წიფლის იქით - კურდღელი თებრო, მაჩვი მანუჩარი და მელაკუდა ლიზილეიზა; ნაკადულთან თაგუნა ცუცა და ბაყაყი ბაყიტო ბინადრობენ. ხეზე კაკუნი გესმის? ეს კოდალა კაკუა, ყვავი ყვანჩიტოც მალე მოფრინდება. ზღარბი ბაბალე და კუ კუკურიც სადაცაა გამოჩნდებიან. სოფელში გოგონა ნია და თუთიყუში ჟაკო ცხოვრობენ, დიდ ქალაქში კი ვირთაგვა ვახტო და ყვავი ბუხა მელიან. სხვა მეგობრებსაც სიამოვნებით გაგაცნობ. ყველანი ძალიან კეთილები და გულისხმიერები არიან, ერთმანეთს მუდამ ვეხმარებით.

- მეც მინდა შენნაირი ფულურო და შენნაირი მეგობრები, - ინატრა ანაბელლიამ.

- თუ ინებებ, ჩემს ფულუროში შენც თავისუფლად მოთავსდები.
- ანაბელლიამ თანხმობის ნიშნად კოსტას თავი მორცხვად დაუქნია. გახარებულმა და ბედნიერმა კოსტამ მშობლიურ ტყეს გახედა, სადაც ერთგული მეგობრებისთვის, ვინ იცის, კიდევ რამდენი სიკეთე უნდა გაეკეთებინა ახლა უკვე ანაბელლიასთან ერთად.



სარჩევი

ხვლიკი კოსტა და შოკოლადის კანფეტი	4
ხვლიკი კოსტა და შემოდგომა	7
ხვლიკი კოსტა და ორლარიანი მონეტა	10
ხვლიკი კოსტა და ყვავი ყვანჩიტო	13
ხვლიკი კოსტა და ტყის თაგუნა ცუცა	16
ხვლიკი კოსტა და ლურჯთვალეზა ია	19
ხვლიკი კოსტა და ბაყაყი ბაყიტო	22
ხვლიკი კოსტა და ნისლი	25
ხვლიკი კოსტა და მარვი მანუჩარი	28
ხვლიკი კოსტა და არნივი ყაფლანი	31
ხვლიკი კოსტა და იხვის ჭუჭულები	34
ხვლიკი კოსტა და შებრანული სოკოები	37
ხვლიკი კოსტა და გუგულის კვერცხი	40
ხვლიკი კოსტა და პოლიციელის ქუდი	43
ხვლიკი კოსტა და მარვი მანუჩარის დაბადების დღე	46
ხვლიკი კოსტა და ვირთაგვა ვახტო	49
ხვლიკი კოსტა და მგლის ლეკვი	53
ხვლიკი კოსტა და მწვანე ქოლგა	57
ხვლიკი კოსტა და მაკაკა ოკაკუ	60
ხვლიკი კოსტა და ლემური ლონდა	64
ხვლიკი კოსტა და სამეფო პინგვინი პინგა	67
ხვლიკი კოსტა და ნაკადული	70
ხვლიკი კოსტა და ფერადი ბუშტები	73
ხვლიკი კოსტა და... აბა, ვინ უფრო კეთილია	76
ხვლიკი კოსტა და ჯადოსნური დღე	79

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22



წიგნი გაშობიდა საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით

